საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

კვირა, 21 დეკემბერი, 2003 წელი
№342 (4721)

ბაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი

ინფორმაცია
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის

უშუალო პორტი გუშინ ამორკალდა ტუმ „Independence" შევიდა, რომელშაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის 740 გონი გენტა ჩამოიგანა.

„ინდეპენდენსის" მონაცემებით, ტვირთი ძირითადად ვენერატორები და ტრანსფორმატორებია.

ტუმი გუშინვე დაიცალა.

თვითმკვლელობა იზოლატორში

სპეციალური მინაკიან სამეთა სამინისტროს წინასწარი დკვევების ამოწმებლორში გუშინ გამთენიისას თვითმკვლელობა მოხდა.

როიორც „ინტერ-პრესს" შინაგან საქმეთა მინისტრის პრესმდივანმა ნათია ჩიქოვანმა აცნობა, ნარკომანიისთვის 3-ჯერ ნასამართლევმა გიორგი ინასარიძემ თავი ჩამოიხრჩო.

ლევან გაჩეჩილაძე დეპოლიტიზებულია

„ახალი მემორკვნეობის" ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე პოლიციელურ ასპარეზს გოუვლი. ამის შესახებ მან გუშინ პასმელის წარმოდგენილმა პარკის თოხმა გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

გაჩეჩილაძის თქმით, პარკის, რომელშაც განახლებული ძალით უნდა დაიწყოს ოპოზიციური მოღვაწეობა, ერთი ლიდერი ეყოლება.

ვნახოთ, რა მოკვდება

ბაბზარ მეთაურობის წესების დარღვევი თანამდებობის პირების, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების, ასევე განუბაგებელი და გადაწყვეტილების მიმღები ოფიციალური პირების გამოსაწერების გამოსაყენებლად საქართველოს საგზაო პოლიციას შემოსის გაეცემოება დაუვალა. ასეთი დოკუმენტები ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაბნოდა, რაც ხშირ შემთხვევაში მიმოქმედეთანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით მთავრდება.

ინფორმაციისთვის მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

გიხაროდეს!
დედოფლისწყაროში ჩვილთა სიმრავლეა



– დედოფლისწყაროს საავადმყოფო-პოლიკლინიკის გიორთაიძეა (დირექტორი ვანო ნაკოლაშვილი, გუნოუოდეს გამეც ნოდარ ბალქორაშვილი) თანამედრიეე ინტერკრიზთა და სამართო მუდაკმეტყველთათ რომ აღქუმელი, აც თუ მარტიან, პირველი დეკემბრისათვის 135 ბავშვი დაიბადა. წელეულ ამ დროისათვის ჯამშრილი 155 ჩვილი გაეწერა. სამშობიარო სახლში შეხვედი სოფელ სახაბაილოელ ხაირეკ თენგიანიან. მას შემდეგ შეილი მეორესა და თავის გოგონას მკრთულეადაჩის მარინა ხარაშვილის პაციენტებად მარინა დაარქვა. აქეე ამშობიარია სიცხიანის რაიონიდას ნათია გოგაშვილსა – მას შეორე შეილი ბიჭი შეეძინა, ხოლო ამხანდედის კალენდარში დაა ულიაშვილის ორი გოგონის შემდეგ შესამე ბიჭის შეძენით გაიხარა.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

პარტიებსა და მოძრაობებში
მღვრიე წყლის დაწმენდის იმედით

ნელილებერალები – ახალი ხელისუფლების მხარდასაჭერად

სპარლამენტში განეიიარებელმა ასაკოთელმა მოელენებმა ნელიბერალური პარკის ხელმძღვანელობას რიგგარეშე ყრილობის მოგაოხებასკენ უბიძგა. გუშინ კაენის სახლის დარბაზში პარკის დელეგატებისა და უწინო სკუპრების გარდა ფართო სამოგალებოსთვის ცნობილ პოლიგიკურ სახეებს ნაბავდით, მათ შორის: ჯუმბერ პაგიაშვილს, თამარ ნადარაშვილს, მიხეილ ნანეიშვილს, გოგი თოფაძის, ნოდარ ნათაძის, გოგა გაბაშვილს...

ყოველ წელეულ სავარძელზე დახვდა სპარლამენტის ნეოლიბერალური პარკის პირველი რიგგარეშე ერილობის პროგრამა-ულანი. პარკია გამოთქვამს ჩრდილს, რომ ახალი პრემიერები თანამოაზრეებთან ერთად უკიმპრომისოდ ებრძოლები დასუსელობის სისნორომს, კორუფციის, ხანძის ქურდობის აღმოსაფხვრელად და ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად.

იხ. 33-2 გვ.

გათუმი
კონსულტაციები გაგრძელდება



გელეიშვილ.

პპარს ხელისუფლება 4 იანვრის ვადამდელი სპარემიდენლო არჩევნების პოიკის საკითხს დღის წესრიგიდან არ ხსნის. თუმცა, როიორც დღეს სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და პპარის ლიდერ ასლან აბაშიძეს შორის დახურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკების შემდეგ აღინიშნა, კონსულტაციები კვლავაც გაგრძელდება და საკითხი, შესაძლოა, დღეებით გადაწყდეს.

როგორც ზურაბ ჟვანიამ ჟურნალისტებს შემდეგ განაცხადა, კონსულტაციები ორიენტირებული არ იყო კონკრეტულ ვინაობაზე, ის საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი. „ეხლარსა და რეფორმის შორის ბევრი მეთანხმებული საკითხი არსებობს, რომელიც, მეგობლებელია, მოლაპარაკებების ფონ გადაწყდეს", – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა და დასძინა, რომ არჩევნების ჩასაგარებლად ტექნიკურად ყველაფერი მზადაა.

ცენრარსა და რეგიონის წარმომადგენელთა მონაწილეები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა ის ფაქტი, რომ კონსულტაციები გაგრძელდება, ერთობლივ პრეს-კონფერენციას ასლან აბაშიძესც დაესწრება.

სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია დღეს ბათუმში 12 საათზე ჩაფრანება. აჭარის ლიდერი მას პირველად არ დახვდება.

ბათუმში ეიმიკის ფარელებში ჟვანიამ ქონკულტიო-ბათუმის მონაკვეთზე მშენებარე ეკეთანიც დაათვალიერა.

ინტერ-პრესის.

აბჭარი
საქართველოს ეროვნული გვარდია 13 წლისაა

საქართველოს ეროვნული გვარდიამ გუშინ დაარსებიდან 13 წლის ეუბილე აღნიშნა. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სამეფო ღონისძიებას, რომელიც ოფიციალური სახით გაიმართა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე, ეროვნული გვარდიის სარდალი კობა კობალაძე, გვარდიის პირადი შემადგენლობა, ვეტერანები გვარდიელები და უცხოეთის ქვეყნების სამხედრო ატაშეები დაესწრნენ.

საიუბილეო ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე და პრემიერ-მინისტრის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, თუმცა ისინი გვარდიელებთან არ მისულან.

საიუბილეო ღონისძიება დოკუმენტური ფილმის ჩვენებით დაიწყო, რომელიც ეროვნული გვარდიის ისტორიას ასახავს.

საქართველოს ეროვნული გვარდია 1990 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ანტიოკუპაციური ეროვნული ძალების ბაზაზე შეიქმნა და ძირითადად მოხალისეთა დაკომპლექტდა სამხედრო დანაოფის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისგან შეიქმნა.

ეროვნული გვარდიის პირველი სარდალი ბრძანებებით უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა და ძირითადად მოხალისეთა დაკომპლექტდა სამხედრო დანაოფის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისგან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1991 წლის 5 დეკემბრის ეროვნული გვარდიის ანტიკრიმინალური ბატალიონის ჩამოყალიბებაში.

ეროვნული გვარდიის ბრძანებებით 62 ჯარისკაცს მიენიჭა ეროვნული გვარდიის 20-მედი ორდენისანი პატენ. ეროვნულ გვარდიაში ამჟამად რეფორმები მიმდინარეობს, რომელთა მიხანი ნაგის სანდალოგებე გადასვლაა. გვარდიის სარეზერვო რეორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობას იმ ჯარისკაის მაგალი ეროვნული გვარდია.

თავდაცვის მინისტრისა და გვარდიის სარდლის პრძანებებით 62 ჯარისკაცს მაღლობა გამოუცხადა, 73-ს სასპაო სიგელი გადეეცა, 22-მა კაცმა ადრე მიღო სამხედრო წოდებები, ხოლო 8 სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო ჯილდოები წარდგინდა.

ინტერ-პრესის.

ინტერპრესრეპორტაჟი
ბავშვმა, რომ სადმ ჰკუნიანი ლეიკემიით დავავადებულება ნათესავმა გახცა. მან ახალ ხელისუფლებას აცნობა, ჯერჯერობით ვიცი, სადაც ის ბმალებით გამეცნობა იმით ახსნა, რომ ძალიან სჩირდებოდა ფული მკურნალობისთვის. და აი, აღმოჩნდა, რომ თურმე მართლაც იცოდა სადმის სიღრმეში ბინა.

ანტარქტიდაში მრავალნიადაგ მუშაობენ მეცნიერები. საინტერესო ის არის, რომ ბაიკალი სიღნაღი ხომ მეტად სამხედრო-სპაპარო ძალების სპეციალისტებმა... მოაქცანიდან დაბრუნდნენ. შეხვედრებზე ადგილებზე მაშველთა რაზმი ფიზიკურების ტუნელებიდან გაეზიარნენ.

პარტიებსა და მოძრაობებში

მღვრიე წყლის დაწმენდის იმედით

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს ნეოლიბერალური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა სოსო ცინცაძემ თავის მოხსენებაში მიმოიხილა ნოემბრის მოვლენები. ახალი ხელისუფლება საჭირო დროს საჭირო ადგილზე დადგა. დროის გარდა, მან იდეის ძალაც იგრძნო და დაეყრდნო ხალხის პოლიტიკურ სიმწიფეს.

მატიანის ძალზე საინტერესო გვერდები ეს-ესაა გადაიფურცლა. ის, თუ რა ჩაიწერება ხვალ, ახალ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. საქართველოს ნეოლიბერალური პარტია მის გვერდით დგება. სოსო ცინცაძემ განაცხადა, რომ მათი მხარდაჭერა უანგაროა და სანაცვლოდ თანამდებობებს არ ითხოვენ, მეტიც, უარს განაცხადებენ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელისუფლება თავისი ინიციატივით შესთავაზებს მათ რაიმე სახის „სათბურის რეჟიმს". „ჩვენთვის ძვირადღირებულია ინტელექტუალური დამოუკიდებლობა და მას არანაირ ყოფითს თუ ნომენკლატურულ სიკეთეზე არ გავცვლით", – ნათქვამია რეზოლუციის პროექტში.

საქართველოს ნეოლიბერალური პარტია დარწმუნებულია, რომ ახალი ხელისუფლება პასუხს მოსთხოვს იმ მოხელეებს, რომლებიც დანაშაულში ყელამდე იყვნენ ჩაფლული და მარიონეტებივით იმართებოდნენ. ნეოლიბერალებს არ ეშინიათ ტოტალური რეპრესიების, რადგან კანონის შესაბამისად, პასუხისგებას არ შეიძლება, რეპრესია ეწოდოს. ახალი ხელისუფლება მოვალეა, ერთი მხრივ, დაიცვას კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი, მეორე მხრივ, მიიჩნიოს სამართლიანობა. უზენაეს ფასეულობად. დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს როგორც ახლობელმა, ისე მორეულმა, უცხო პირმა.

საუკუნეების განმავლობაში ქართველთათვის ოჯახი სახელმწიფოს ბურჯად ითვლებოდა. სოსო ცინცაძემ კი ბოლო წლებში ოჯახის მნიშვნელობის გადაგვარებას გაუსვა ხაზი – იგი კორუფციის, ანტისახელმწიფოებრიობის სინონიმად იქცა. ხალხი უპატრონო ბავშვთა სახლში გაზრდილ პრეზიდენტზე ოცნებობდა, უოჯახოსა და და უნათესავოზეო.

არც ახალი პრეზიდენტი იქნება უპატრონო ბავშვთა სახლში გაზრდილი, ოჯახი, ნათესავები და მეგობართა ფართო წრე მასაც ეყოლება. ჩემგან არ გესწავლებათ, ადამიანი ცოდვილი არსება რომ არის და, ვაითუ, მომავალი პრეზიდენტის ახლობლებსაც მოუნდეთ ოლიგარქობა!.. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ნეოლიბერალური პარტია ღრმად არის დარწმუნებული, რომ ახალი ხელისუფლება მღვრიე წყლის წმენდას სათავიდან დაიწყებს.

მთავარი მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი ანზორ შარაშენიძე გამოვიდა. რეგლამენტში ვერჩატეული ტექსტი, ძირითადად, კითხვებს შეიცავდა. მაგალითად, ასეთებს: – ჩვენი დედა-ენა ქართული არ არის? რატომ ვცდილობთ, მის გვერდით დავაყენოთ სხვა ენები? რატომ ველაპარაკებით რუსს რუსულად, ინგლისელს – ინგლისურად? საქართველოში თარჯიმანთა ინსტიტუტი არ არსებობს?

ამგვარად წარმართული თანამოხსენების ბოლოს ბატონმა ანზორმა იკითხა: ვინ ვართ ჩვენ – ამერიკელები, საბჭოთა ხალხი თუ ქართველებიო და სახელმწიფო პრალდეკის მესახებ კანონის სასწრაფოდ მიღების მესახებ დასვა წინადადება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთის ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნების სტრატეგიაზე ისაუბრა. იმის ნიმუშად, რომ ძალის, უბრალოდ, დემონსტრირებასაც კი ბევრი რამ შეუძლია, ნოემბრის აქციები დაასახელა. თუ ისევ შევიკრიბებით ასი ათასი ადამიანი ვარდებით ან ყაყაჩოებით (გემოვნების მიხედვით) ხელში და ენგურთან დავდგებით, აფხაზები ჩვენს ერთსულოვნებას იგრძნობენ და შიში შეუჩნდებათო, – დარწმუნებულია თამაზ ნადარეიშვილი.:

პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის" ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა დანიელი პრინცის კითხვა დასვა. ორი ალტერნატივიდან – ყოფნა თუ არყოფნა – ცხადია, ყველა ყოფნას არჩევს. ასეთ შემთხვევაში, ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა 4 ნოემბრის არჩევნებში. ამაზე ჩვენი მყოფადია დამოკიდებულიო.

„გაერთიანებული დემოკრატების" გენერალურმა მდივანმა გოგა გაბაშვილმა ნეოლიბერალებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია ინტელექტუალურ, ლიბერალურ პარტიასთან თანამშრომლობა. თავისი მოკლე გამოსვლის დასასრულს ახალი ხელისუფლების სახელით გოგა გაბაშვილმა არსებული პრობლემების მოგვარების მტკიცე პირობა დადო.

იმედი გამოთქვა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ მიხეილ ნანეიშვილმაც. მაგრამ ოპტიმიზმი რეალისტური უნდა იყოს და საქვეყნო საქმის კეთებისთვის ყველა დონის გამოყენებას უნდა ითვალისწინებდეს. აბა, სამოთხეში ოპტიმიზმი არ სჭირდება ადამიანსო, – განაცხადა ბატონმა მიხეილმა და შემდეგ ძალზე ვრცლად ისაუბრა უნიტარული და ფედერაციული სახელმწიფოების არსზე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე დაეთანხმა მიხეილ ნანეიშვილს იმაში, რომ საქართველოსთვის ფედერალიზმი დამღუპველია. მათი მოსაზრებები, ალბათ, ნაცნობია თქვენთვის მედიის საშუალებით და ყურადღებას აღარ შევაჩერებ. ვიტყვი ერთს, რომ ნოდარ ნათაძის როლი ყრილობის „მხატვრულ კომპოზიციაში" ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმოხილვას გულისხმობდა და ბატონმა ნოდარმაც დაუზარებლად ისაუბრა ორსაუკუნოვანი თანაარსებობის ნეგატიურ მხარეებზე.

მიკროფონს ვერავინ თმობდა, რეგლამენტს ვერავინ ითვალისწინებდა, რადგან საუბარი იმ თემებს ეხებოდა, რაც მათთვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი იყო.

ყრილობის დასასრულს პარტიის დელეგატებმა თავმჯდომარედ საქართველოს პარლამენტის წევრი ვალერი გელაშვილი აირჩიეს, თანათავმჯდომარედ – სოსო ცინცაძე, პოლიტიკურ მდივნად – სერგო ქიტიაშვილი. ამასთან, დაამტკიცეს პოლიტიკური საბჭო ცხრა წევრის შემადგენლობით, რითაც გაუქმდა პარტიის ადრე არსებული მთავარი საბჭო.

ყრილობის შემდეგ დაღლილ მოდარბაზეთ იქვე, გვერდით „დაკარგული სამოთხე" ელოდა მსუბუქი საუზმით.

რუსუდან გახარია.

სიტუაცია

მხოლოდ – ბერბერაშვილი, სხვა არავინო!

დუშეთის რაიონის ყოფილი გამგებლის გოდერძი ბერბერაშვილის თანამდებობაზე დაბრუნების მოთხოვნით მის მხარდამჭერთა აქცია გამგეობის შენობასთან მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.

როგორც „ინტერ-პრესს" „ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ განუცხადა, გვიან ღამით აქციის მონაწილეებს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთში და დუშეთის რაიონის პოლიციის უფროსი შეხვდნენ. მათ ბერბერაშვილის მხარდამჭერებს აქციის შეწყვეტისკენ მოუწოდეს, თუმცა მოსახლეობამ უარი განაცხადა. რწმუნებულმა შესთავაზა ბერბერაშვილის მხარდამჭერებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი კვლავაც არ აპირებენ ახალი გამგებლის, „ბურჯანაძე-დემოკრატების" გუნდის წევრის ირაკლი ბურდულის გამგეობაში შეშვებას, ამ პოსტზე მათთვის სასურველი კანდიდატურა წამოაყენონ, თუმცა აქციის მონაწილეთა მოთხოვნა ბერბერაშვილის თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ უცვლელი დარჩა.

გოდერძი ბერბერაშვილი გამგეობის შენობაში, თავის ყოფილ სამუშაო კაბინეტში იმყოფება და გამოსვლას არ აპირებს, სანამ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე და პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი არ შეხვდებიან და ოფიციალურად არ განუმარტავენ თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზებს.

როგორც დუშეთში „ინტერ-პრესს" ბერბერაშვილმა განუცხადა, პრეზიდენტს გამგებლის თანამდებობიდან გადაყენების უფლება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევის გარდა, არ აქვს და, შესაბამისად, მისი გადაყენებაც უკანონო იყო.

ბერბერაშვილის აზრით, იგი პოლიტიკური მოტივებით გადააყენეს და გამგებლის თანამდებობაზე მარინა მოლოდინი – კობა ბუჩუკურის მეუღლე უკანონოდ დანიშნეს. „თანამდებობიდან გადაყენებამდე ჩემთან იმყოფებოდა მარინა მოლოდინის წარმომადგენელი, რომელმაც შემომთავაზა, „ლეიბორისტული პარტიისთვის" ზურგი შემექცია და „ბურჯანაძე-დემოკრატების" გუნდის მხარდაჭერაზე ოფიციალური განცხადება გამეკეთებინა, რაზეც უარი ვთქვი. ამის შემდეგ რამდენიმე დღეში რწმუნებულმა შემატყობინა, რომ თანამდებობიდან გამათავისუფლეს. მე სწორედ მოლოდინი და ბუჩუკური მებრძვიან", – აღნიშნა მან.

ინტერ-პრესი.

მესამე სექტორი

ნარკოტიკების წინააღმდეგ

20-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია საზოგადოებაში ცხოვრების არაჯანსაღი წესის აღმოსაფხვრელად გაერთიანდა. უპირველეს ამოცანად თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნულ ცენტრთან ჩამოყალიბებული მოძრაობა „ნოვატორები" ნარკოტიკების, ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლას ასახელებს.

ამ მიმართულებით სასწავლო დაწესებულებებში სააგიტაციო-საგანმანათლებლო სემინარების ჩატარება და შესაბამისი სარეაბილიტაციო ცენტრის ამოქმედება იგეგმება.

როგორც გუშინ მოძრაობის დამფუძნებლებმა განაცხადეს, გაერთიანების ყველა პროგრამა ნოვატორული იდეის მატარებელი იქნება და მომავალი წლიდან „ნოვატორები" ამ მიმართულებით საზოგადოების გააქტიურებას აპირებენ.

რაც შეეხება დაფინანსების საკითხს, ერთ-ერთი დამფუძნებლის დავით მესხიშვილის განმარტებით, ახალი გაერთიანების პროექტების დაფინანსება თავისუფალია და ნებისმიერ დაინტერესებულ კერძო თუ იურიდულ პირს, გარდა ალკოჰოლისა და სიგარეტის მწარმოებელი კომპანიებისა შეეძლება, ფინანსები ამა თუ იმ პროგრამაში ჩადოს.

ინტერ-პრესი.

SIC!

ანონიმური წყაროს ცნობით

ყოფილი სახელისუფლო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ლევან მამალაძე ბათუმში იმყოფება და აჭარის ლიდერთან ასლან აბაშიძესთან შესახვედრად ემზადება.

აჭარის სახელისუფლო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ქვემო ქართლში, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ბოლნისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან მამალაძე ბათუმში რამდენიმე დღის წინათ ჩავიდა, გუშინ კი ის გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორან „სანაპიროში" აჭარულ ხაჭაპურს მიირთმევდა.

იმავე წყაროს ცნობით, ბათუმში მყოფ მამალაძეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის გარემოცვა მასპინძლობს.

საქართველოს პროკურატურამ შპს „კვარციტში" აღმოჩენილ ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით მამალაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მისგან ჩვენების მიცემას მოითხოვს.

ბოლო დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, მამალაძე მოსკოვში იმყოფებოდა. ყოფილი რწმუნებულის განცხადებით, მან საქართველოს ტერიტორია მოსკოვის პოლიციის აკადემიაში სწავლის გაგრძელების მიზნით დატოვა.

ინტერ-პრესი.

ინფორმაცია

გუშინღამ ისევ ისროდნენ

დაუდგენელმა პირებმა „დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის დავით ჯაფარიძის საცხოვრებელი სახლი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს.

როგორც „ინტერ-პრესს" „აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ოფისში განუცხადეს, ინციდენტი გუშინღამ დაახლოებით 23 საათზე მოხდა.

პარტიის თბილისის ორგანიზაცია მომხდარს „იმ ტერორის გაგრძელებად" აფასებს, რომელსაც „ქვეყნის ხელისუფლება პოლიტიკური პარტიების მიმართ ახორციელებს". მსგავსი ქმედებები ხელს არ უწყობს როგორც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, ისე ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობების მოწესრიგებას.

ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობას

ამერიკული მხარის ინიციატივითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით საჩხერის სამთო მსროლელთა მე-16 ბატალიონის 155-კაციანი ტექნიკური ჯგუფი ერაყის სამშვიდობო ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას.

ბატალიონის მეთაურის, კაპიტან ზურაბ აგლაძის თქმით, როგორც ერაყში გამგზავრების ზუსტი თარიღი, ასევე ქართველი ჯარისკაცების ხელფასის ოდენობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მათი ერაყში მოქმედების დრო კი 6 თვით განისაზღვრა. მრავალრიცხოვან მსურველთა შორის კონკურსის საფუძველზე მხოლოდ ფიზიკურად საუკეთესოდ მომზადებულნი შეირჩნენ.

საჩხერის ბატალიონის ერთი ასეული სამაჩაბლოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობს და უახლოეს დღეებში მუდმივი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდება.

არძინბას გადადგომას მოითხოვენ

აფხაზ უხუცესთა საბჭო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მსგავსად, პრეზიდენტ ვლადისლავ არძინბას გადადგომას და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, აფხაზეთის უხუცესთა საბჭო სერიოზულად განიხილავს გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში და საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებას ჯანმრთელობაშერყეული არძინბას გადადგომისა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

არძინბას დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვს აფხაზ მეომართა გავლენიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ამცახარაც", მოძრაობა „აიტაირა" კი მის გადადგომამდე აფხაზური პარლამენტისაგან „პრეზიდენტის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას, საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის განსაზღვრას და არჩევნების ოფიციალურად დანიშვნას მოითხოვს.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“ ქ. თბილისში 2002 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

1. ძალაში შესვლის მიზნით დამტკიცდეს ქ. თბილისში 2002 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმება „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (თ. ჯაფარიძე):

ა) აცნობოს საქართველოს პარლამენტს ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის შესახებ;

ბ) შეატყობინოს სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობას ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურის შესრულების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
ნინო ბურჯანაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა (აღმასრულებელ ხელისუფლებას) და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ქ. თბილისში 2003 წლის 16 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

1. ძალაში შესვლის მიზნით დამტკიცდეს ქ. თბილისში 2003 წლის 16 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა (აღმასრულებელ ხელისუფლებას) და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (თ. ჯაფარიძე):

ა) აცნობოს საქართველოს პარლამენტს ამ ბრძანებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების ხელმოწერა;

ბ) შეატყობინოს საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას ამ ბრძანებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურის შესრულება.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
ნინო ბურჯანაძე.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის **ნინო ბურჯანაძის** განკარგულებით დაინიშნენ: **ირაკლი ბურდული** – დუშეთის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით; **ლევან მოკვერაშვილი** – თიანეთის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით; **მალხაზ მჭედლიშვილი** – სიღნაღის რაიონის გამგებლად საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

საქინფორმი.

მილოცვა

საქართველოს ნაციონალური მოძრაობის ლიდერს, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ, თქვენ დაამტკიცეთ, რომ შეგიძლიათ სახალხო რევოლუციის ხომალდი უშიშრად გამოატაროთ აბობოქრებულ ოკეანეში... უმთავრესი კი ის არის, რომ ამ ბრძოლაში თქვენ მარტო არა ხართ: თქვენი ძლიერება, თქვენი გამარჯვების ძალა ის არის, რომ თქვენ ქედუხრელი ამირანივით ეყრდნობით ხალხს და თანამებრძოლთა იმ გუნდს, რომელმა გუნდმაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირების: ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მსგავსად საქართველო, ნესტან-დარეჯანივით გამოიხსნა ქაჯეთის ციხიდან.

ბატონო მიხეილ, მსოფლიო აღფრთოვანებულია თქვენით. ამაზე მეტყველებს პრესაში გამოქვეყნებული უამრავი წერილი, სატელევიზიო კომპანიების კომენტარები, შეფასებები.

მთელ საქართველოს მიაჩნია, რომ დღეს თქვენ ხართ ის პიროვნება, რომელსაც შეუძლია მშობელი ხალხი მიიყვანოს აღთქმულ ქვეყნამდე. თქვენ მაგიური პოპულარობით სარგებლობთ ხალხში, რადგან ხართ მამაცი და უშიშარი, ზღვა ენერგიის მქონე და შორსმჭვრეტელი პიროვნება. თქვენ გაქვთ არაერთი იშვიათი, ზეადამიანური თვისება, რომელიც აუცილებელია ქვეყნის გადასარჩენად მოვლენილი სახელმწიფო მოღვაწისათვის – ზნესრულობა, პირდაპირობა და სიმართლე ყველასთან და ყველაფერში, ეპიკური გმირის ქარიზმა და შარავანდედი.

ბატონო მიხეილ, 21 დეკემბერს თქვენ 36 წლისა ხდებით. ბევრ სხვა რამესთან ერთად, დამდეგ შობა-ახალწელთან ერთად თქვენი დაბადების დღეც მეტად სიმბოლურია და იმედის მომცემი.

ნება მიბოძეთ, დამოუკიდებელი სამედიცინო ინსტიტუტის „თბილისი“ პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების, პირადად ჩემი სახელით მოგილოცოთ დაბადების დღე, გისურვოთ დიდი გამარჯვებები საქართველოს ისტორიული მისიის შესრულებაში. მჯერა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში თქვენ გახდებით დიდი დავით აღმაშენებლის სულიერი მემკვიდრე და ვინატრებდი, მასავით საკუთარი მხრებით ღირსეულად გეტარებინოთ მრავალტანჯული საქართველოს მძიმე უღელი.

ამ ბედნიერ დღეს ვულოცავთ თქვენს პატარა ვაჟკაცს, მშობლებს, ძმას და განსაკუთრებით კი თქვენს მეუღლეს, საქართველოს საამაყო რძალს – სანდრას!

უდიდესი პატივისცემით
ნოდარ ბაქრაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო ინსტიტუტ „თბილისის“ რექტორი, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების წევრი, საქართველოს ინტერნისტთა სამეცნიერო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

P.S. ბატონო მიხეილ, გვსურს გაუწყოთ, რომ თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად სამედიცინო ინსტიტუტში „თბილისი“ შეიქმნა საქართველოს ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის ცალკე ფრთა, რომელშიც უკვე 200-ზე მეტი სტუდენტი გაერთიანდა.
ნ. ბ.

გვწერენ

23 ნოემბრის მონაწილენი გაფრთხილებთ!..

დღეს ყველასათვის ნათელი ხდება, რომ ის დამნაშავე ელემენტები, რომლებიც 1991-92 წლებში იარაღით ხელში იბრძოდნენ კანონიერი ხელისუფლების დასამხობად, ისევ აეღარუნებენ იარაღს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენ იძულებული ვართ, განვაცხადოთ, რომ გონს მოეგნენ, შეწყვიტონ აყალმაყალი და წინააღმდეგობა დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩადგნენ ერთად ახალი საქართველოს მშენებლობის ფერხულში, რაც თითოეული მოქალაქის წმინდა ვალია, თუ არა, კატეგორიულად ვაცხადებთ – ყველაფერს ვიღონებთ, რათა შევინარჩუნოთ 23 ნოემბრის მონაპოვარი. ჩვენ მოთმინებით ვადევნებთ თვალყურს იმას, რაც ხდება საქართველოში და მოთმინებასაც აქვს საზღვარი. იცოდნენ და გააცნობიერონ ის გარემოება, რომ ჩვენ მონაპოვარს არ დავთმობთ. ამას წინ ვერანაირი ძალა ვერ აღუდგება.

ორიოდე სიტყვით ჩვენი ღვიძლი ძმების – აჭარლების მისამართით. თუ ძმები ვართ, ჩვენი შინაგანი საქმე ჩვენ გავარჩიოთ, გავუზიაროთ ერთმანეთს გულისტკივილი და მოვუნახოთ დამაყუჩებელი წამალი.

ბატონ ასლან აბაშიძეს გავუბედავ: ნუღარ გაუწევთ მასპინძლობას მათ, ვინც არ არის ამის ღირსი.

აქვე მინდა აღვნიშნო მეტად საგულისხმო დეტალი. ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ხშირად აკეთებს განცხადებას: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ მოხდება არეულობა, აფეთქებები, მზადდება სააკაშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია, ამის გამო მე დავურეკე მიშა სააკაშვილს, მაგრამ მისი მობილური გამორთული იყო“ და ასე შემდეგ. საგულისხმო ფაქტია ის გარემოება, რომ ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ყველაფერი სცოდნია, მხოლოდ არ სცოდნია ის, რომ პირადად მასზე მოხდებოდა თავდასხმა. საინტერესოა, რატომ ყურადღებას არ აქცევს უშიშროება, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო – ქალბატონ ირინა სარიშვილ-ჭანტურიას. ვინ აწვდის ასეთ მეტად საგულისხმო ინფორმაციას?

23 ნოემბრის მონაწილეთა დიდი ჯგუფის თხოვნით წერილი მოამზადა
მიხეილ კორსანტიამ.

ეთნოპოლიტიკა

ლეონტი მროველიდან აკაკის „გამზრდელამდე“ და დღემდე...

ანუ იდეოლოგია, რომელზეც უნდა აშენდეს სახელმწიფო

გუშინ თბილისში, გეოპოლიტიკური მოდელირების ცენტრმა გამართა პრესკონფერენცია, რომლის თემაც იყო დღეისათვის ძალზე აქტუალური კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მოდელის საკითხების განხილვა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქართველი ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, ჰერალდიკის (სახელმწიფო სიმბოლიკების) სპეციალისტები...

მოწვეული სტუმრები და ჟურნალისტები დიდი ინტერესით უსმენდნენ ცენტრის დირექტორის ბესო ბოჭორიშვილის, საკონსულტაციო საბჭოს წევრის გია მამალაძის, ჟურნალ „ეთნოპოლიტიკის“ რედაქტორის იულონ ტოლიაშვილის, ისტორიკოსების გოჩა ხუნდაძის, დიმიტრი შველიძის, მიხეილ მაყაშვილის, ია ბაგრატიონ-მუხრანელის, ხიზრი ალდამოვის და სხვათა გამოსვლებს.

არავისთვის უცხო არ არის ის ფაქტი, რომ საქართველო, როგორც პოლიეთნიკური სახელმწიფო, დღეს საკმაო ხიფათის წინაშე დგას. ამიტომაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია ყველა პოლიტიკოსმა მოზომოს თავისი სიტყვა, რომ დღეს მოქმედმა პოლიტიკურმა ელიტამ ყველაფერი აწონ-დაწონოს და ისე შეაფასოს მოვლენები, რადგან მრავალეროვან ქვეყანაში ყოველ ეთნოსს სხვადასხვაგვარი მიდგომა სჭირდება, რომ აუცილებელია შემუშავდეს კონკრეტული გეგმები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დაბრუნებისათვის.

პრესკონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო სახელმწიფო იდეოლოგიის საკითხს. ითქვა, რომ კავკასიის ხალხებს წარმოშობის ერთი ძირი აქვთ, რომ თითქმის იდენტურია მათი ანთროპოლოგია, ჩაცმულობა, სიმღერაც-კი... ამიტომაც საჭიროა ხშირად გავიხსენოთ აკაკის „გამზრდელიდან“ – ჰაჯი-უსუფი...

ისტორიკოსმა გოჩა ხუნდაძემ მსმენელთ შეახსენა, რომ ქართველებს ახალი იდეოლოგიის ძებნა არც გვჭირდება, რომ კავკასიის ხალხთა ძმობაზე, ერთობაზეა დაფუძნებული ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან ჩვენი ღირსეული წინაპრის, ლეონტი მროველის იდეოლოგია...

გეოპოლიტიკური მოდელირების ცენტრის „ქართული გეოპოლიტიკური პროექტის“ თემატიკაც, რომელსაც ახლა ამუშავებენ, ითვალისწინებს როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკურ მონიტორინგსა და საერთაშორისო ვითარების მიმოხილვას კავკასიური რეგიონის გეოპოლიტიკური მოდელის გათვალისწინებით, ასევე თბილისში უნიფიცირებული კულტურული მიდგომების ჩამოყალიბებას და კავკასიაში ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნას. ორი ზღვის სავაჭრო-ეკონომიკური ზონის ფორმირებას (ბაქო-ფოთი) კულტურულ-ეკონომიკური ვექტორების განვითარებას – თბილისი-ვოლგოგრადი, თბილისი-ბაღდადი.

ცენტრს განზრახული აქვს, აგრეთვე, ქვეყნის, როგორც სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმის მოწყობის ამოცანები და რაც მთავარია, შიდა პოლიტიკური ვითარების შეფასებები, ანუ ის, რომ შეისწავლოს განვლილი პერიოდის ფაქტები, პოლიტიკური ლიდერების, პრეზიდენტობის კანდიდატების და მათი გუნდების წევრთა მესიჯები, პოზიციების შესაბამისობა ორი ზღვის კავკასიური რეგიონის ჩვენს ეროვნულ ინტერესებთან და ნაციონალური უსაფრთხოების მოთხოვნებთან...

აღნიშნული საკითხი ჩვენს ქვეყანაში მართლაც სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი. ეროვნული, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა და განვითარება. სწორედ ამ იდეოლოგიის უქონლობაა, ასე რომ არყევს და ფანტავს ძვირფას ენერგიას და ეროვნულ მუხტს და ეწინააღმდეგება ყოველგვარ პროგრესს ადამიანის ცნობიერებაში, სულიერებაში.

უდავოდ დიდი საქმე წამოიწყეს გეოპოლიტიკური მოდელირების ცენტრის მესვეურებმა. ამ წამოწყებას კი დიდი ხელშეწყობა და თანადგომა სჭირდება როგორც სახელმწიფოსგან, ასევე მეცნიერების, პოლიტიკოსების მხრიდან. მასმედიის წარმომადგენლებს კი ევალებათ უდიდესი ყურადღებით მოეკიდონ თითოეულ წარმოთქმულ სიტყვას და დაწერილ სტრიქონს, რათა გაუფრთხილდნენ და გადაარჩინონ ის ეროვნული თვითშეგნება და პოზიცია, რაც სწორედ ახლა ძალზე სჭირდება როგორც საქართველოს, ასევე მთელ კავკასიას.

ლია ჭილლაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 342, კვირა, 21 დეკემბერი, 2003 წელი.

ფიქრი

ოპტიმისტური განსჯა

გვემუქრება თუ არა სამხედრო გადატრიალება და კონტრრევოლუცია?

გვემუქრებაო, – ამბობენ. ზოგი დამარცხებულთა რევანშით გვაშინებს, ზოგს მტრის ხატი სჭირდებათ და ქმნიანო, ზოგი – გარეშე ძალებით, სხვა სხვა მიზეზს ასახელებს კონკრეტული ფაქტებისა და მაგალითების გარეშე.

მივაწეროთ მოსაზრებათა ეს მრავალგვარობა სიტყვის თავისუფლების გამოვლენას და, ამავე პრინციპიდან გამომდინარე, ჩვენიცა ვთქვათ.

უწინარეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რა ინფორმაცია გავრცელდა სულ რამდენიმე დღის წინათ: სამხედრო ნაწილები ცდილობს ამბოხის მოწყობასო ზოგიერთი მაღალჩინოსანი ოფიცერი, სამხედრო ელიტა ან რაღაც ამგვარი ფენა.

მერე თითქოს ჩაცხრა სიტუაცია. ყოველ შემთხვევაში, ამ საშიშროებაზე აღარ ლაპარაკობენ: ან ძირშივე აღკვეთეს, ან არ იყო მართალი.

ან საზოგადოებრიობამ, როგორც ნებისმიერმა ცოცხალმა ორგანიზმმა, არ მიიღო უცხო სხეული, მოიცალა, ამოიკვეთა.

ასეა თუ ისე, განმარტებას არავინ იძლევა, და, როგორც ყოველთვის მსგავს ვითარებაში, იძულებული ხარ დასკვნები თავად გამოიტანო, შენთვის მაინც.

ვცადოთ.

რის საფუძველზე შეიძლება გავრცელებულიყო ინფორმაცია (თუ საშიშროება), რომელზეც დავიწყეთ ლაპარაკი?

თუ ზოგადად ვიმსჯელებთ, ალბათ, იმ კანონზომიერებას უნდა დავეყრდნოთ, რომელიც, როგორც წესი, პოსტრევოლუციურ აზროვნებას აყალიბებს: საზოგადოება იღლება რევოლუციური არეულობით, დესტაბილიზაციით და ახალი არეულობის, ახალი რევოლუციისა თუ კონტრრევოლუციის საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს ხელისუფლებისგან. საზოგადოებრივ აზროვნებაში ამოქმედდება ერთგვარი დამცავი მექანიზმი. იგი ჯერ შეიქმნის წარმოსახვით საშიშროებას (კარგია, თუ მხოლოდ წარმოსახვითს), შემდეგ მოითხოვს მის ლიკვიდაციას და ბოლოს თავად ირაზმება საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად.

მადლობა ღმერთს, მოქმედების ასეთი განვითარება თავიდან ავიცილეთ.

ავიცილეთ იმიტომ, რომ სამხედროების ამბოხი საქართველოში პრინციპულად შეუძლებელია, ობიექტურად არის გამორიცხული.

შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის მაღალმილიტარიზებული, არც ტრადიციულად ყოფილა, პერსპექტივაში იქნება თუ არა, ძნელი წარმოსადგენია.

მოკლედ, სამხედრო ელიტა (თუკი ასეთი არსებობს) ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პრაქტიკულად სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს.

მით უფრო გამორიცხულია, რომ საქართველოში მოხდეს სამხედრო გადატრიალება, ანუ პუტჩი, რომელიც, ვთქვათ, ლათინურ ამერიკაში, ეგზოტიკური შემთხვევა კი არ არის, არამედ – ტრადიციაა. ასევეა, მაგალითად, პაკისტანშიც, სადაც სამხედროები ხელში აიღებენ ძალაუფლებას, შემდეგ გადასცემენ ჩინოვნიკებს, კვლავ იბრუნებენ – მოგვწყინდა თქვენი უხერხემლობაო: „ქვეყანას სჭირდება რკინის მუშტი წესრიგის დასამყარებლად!“.

ამყარებენ.

ხოლო ისეთ ქვეყანაში, როგორიც ბანგლადეშია, სამხედროები არც არასოდეს წასულან ნომინალური სამოქალაქო ხელისუფლებიდან.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამგვარ ქვეყნებს (გარკვეული თავისებურებებით) შეიძლება მივაკუთვნოთ ისრაელიც. და ამის დამამტკიცებელ არგუმენტად დაგვისახელებენ უეჭველ ფაქტს: იქ პრაქტიკულად არ ყავთ პოლიტიკოსები, რომლებსაც არმიაში არ ემსახუროთ.

რას იზამ, მუდმივად მეომარი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარეობს ასეთი თავისებურება.

მსგავსი არაფერი არ არის საქართველოში. არავითარი ხუნტა არც ყოფილა, არც არის. თუმცა, ეს ტერმინი დიდი ხანია ტრიალებს ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში, ყოველ შემთხვევაში, მის ერთ ნაწილში ფრიად პოპულარული იყო და, ალბათ, დარჩა კიდეც.

საგინებელ სიტყვად ვაქციეთ „ხუნტა“ – უბედურებებისა და საშინელებათა წყაროდ და მიზეზად. დამარცხებულის ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს სიტყვიერი შეტევა, როცა ლანძღვისა და შეურაცხყოფის მიყენების გარდა ბრძოლის სხვა საშუალება არა გაქვს.

„იმუშავა“ ასეთმა გაგებამ.

მაინც რას ნიშნავს ეს „საშინელი“ სიტყვა „ხუნტა“?

ესპანურ პირველწყაროში **junta** საკმაოდ ნეიტრალური სიტყვაა და ეტიმოლოგიურად ნიშნავს „კავშირს“, „გაერთიანებას“, იგი სხვა არაფერია, თუ არა ნებისმიერი მიმართულების მმართველი დაჯგუფება. თანაც სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს დაჯგუფება იყოს სამხედრო და ავტორიტარული.

„ხუნტის“ პრობლემა გავარკვიეთ.

ახლა კი, მოდით, განვიხილოთ საქართველოში სამხედრო გადატრიალების (ლათინურამერიკული ვარიანტი) თეორიული (!) შესაძლებლობა, ანუ ის პერსპექტივა, რომლის შიშიც გაჩნდა ჩვენს საზოგადოებაში.

რეალურია თუ არა გადატრიალება?

ამთავითვე ვთქვათ: არარეალურია, რადგან არ არსებობს აუცილებელი კომპონენტები, ამგვარი გადატრიალების მოსაწყობად.

გადავფურცლოთ სპეციალური ლიტერატურა, წავიკითხოთ და გავარკვევთ, რომ:

პირველი. ჩვენთან არ არის არავითარი ტრადიცია სამხედრო გადატრიალების. ლათინურ ამერიკაში კი სახელმწიფოები შეიქმნა გენერლების ხუნტების ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით, და უკვე მეორე საუკუნეა გაკვალული გზით მიექანება.

მეორე. საქართველოში არ არის ლათინურამერიკული ყაიდის არმია (არც თურქული ყაიდის), ანუ არ არის დისციპლინირებული და პრივილეგირებული ძალოვანი სტრუქტურა, რომელსაც სათავეში უდგას ოფიცერთა კასტა და რომელიც ტრადიციულად დიდი გავლენით სარგებლობს საზოგადოებაში.

არის კიდევ ერთი მომენტი – ამ ქვეყნებში დამკვიდრებული ერთგვარი საზოგადოებრივი ჩვეულება, რომლის თანახმად სამხედრო კასტა წარმოდგება ერის გადამრჩენელ უკანასკნელ ინსტანციად: სიტუაციაში, როცა სამოქალაქო ხელისუფლება ქვეყანას ნგრევის პირას მიიყვანს, ჯარი გამოდის ყაზარმებიდან და წესრიგს აღადგენს. სახელმწიფოს მხსნელ და გადამრჩენ ძალად მაინცა და მაინც არმიის აღიარების ტრადიცია, ლათინური ამერიკის ქვეყნებში სამხედრო გადატრიალებისადმი დამოკიდებულებას ჩვეულებრივ, ყოფით აუცილებლობად აყალიბებს.

გნებავთ, – როგორც ობიექტურ აუცილებლობას.

მაგრამ საქართველოში, როგორც ვთქვით, ასეთი ტრადიციული ფაქტორები არ არსებობს, ამიტომაც ძნელია იმის დაჯერება, რომ სამხედრო, ან ნებისმიერი სხვა სახის შეიარაღებული გადატრიალება შეიძლება მოხდეს.

უცხოა ეს ჩვენი ისტორიული ბუნებისთვის.

ხოლო ერთი გუბერნატორისადმი „არაგველების დაპირისპირება“, როგორც ახლახან ერთმა პოლიტიკოსმა თქვა – „არაგველების ომი“, – სულაც არ არის იმის საბაბი, რომ შეიარაღებული აჯანყება დაემუქროს ჯერ კიდევ დაუწყნარებელ ჩვენს რეალობას, რომელიც ქვეყანაში 23 ნოემბრის შემდეგ ჩამოყალიბდა.

ამბობენ, რომ დისკრედიტირებული პარტიები, პარტიები-გვამები კონტრრევოლუციის მოწყობას აპირებენო.

გვამების კონტრრევოლუცია გაგიგიათ?!

ის დროა, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, სპეცსამსახურებმაც – თავისი, ხოლო გვამების ადგილი სასაფლაოზეა.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ მოხდა სამხედრო გადატრიალება. ეს იქნება წმინდა წყლის ავანტიურა, სრულიად უპერსპექტივო აქცია, რადგან ფაქტის შემდგომ განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემაზე არც სამხედროებს, არც სხვა ვინმეს წარმოდგენა არა აქვთ.

თუმცა, ვინ იცის, რა მოხდება. საქართველოში ყველაფერია მოსალოდნელი, რაც მსოფლიო გამოცდილების ლოგიკაში არ ეწერება.

არმაზ სანებლიძე.

ინფორმაცია თემაში

შეიარაღებული ამბოხის მზადების ბრალდებით საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა აფხაზეთის ომის რამდენიმე ვეტერანი დააკავეს. ამის შესახებ გუშინ „ინტერ-პრესს“ სარწმუნო წყარომ აცნობა.

ინფორმაციას უშიშროების სამინისტროში ჯერჯერობით არ ადასტურებენ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ „ინტერ-პრესს“ განუცხადა: „არსებობს ვარაუდი, რომ ქვეყანაში, შესაძლოა, დესტაბილიზაციის გარკვეული მცდელობა იყოს, რათა საარჩევნო პროცესის გაგრძელება შეუძლებელი გახდეს“. ამასთან, აღნიშნა, რომ ამ ინფორმაციაზე მეტიც რომ ჰქონდეს, ჟურნალისტებთან არაფერს იტყოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ზედიზედ მეოთხედ – ამიერკავკასიის ჩემპიონი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ერევანში (პარალელურად, ე.წ. „ონლაინ“ რეჟიმში სანკტ-პეტერბურგსა და ბარნაულთან) პროგრამირებაში სტუდენტთა შორის 2003-2004 წლების სეზონის მსოფლიოს გუნდური პირველობის ამიერკავკასიის ჩემპიონი ზედიზედ მეოთხედ გახდა.

მეორე ადგილზეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი.

პირადი პირველობა დიდი უპირატესობით – 6 შესაძლებლობიდან ექვსივე ამოცანის ვადამდე შესრულებით – მოიგო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილმა. იგი შეჯიბრების აბსოლუტურ გამარჯვებულად აღიარეს; მასთან ერთად თსუ პირველი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები – ამიერკავკასიის შარშანდელი გუნდური პირველობის გამარჯვებული ლაშა ქოჩორაძე და ამიერკავკასიის შარშანდელი პირადი პირველობის გამარჯვებული ლაშა ბანძელაძე.

ნახევარფინალი, რომელიც თბილისში უნდა გამართულიყო, საქართველოში ცნობილი მოვლენების გამო ერევანში გადაიტანეს, რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ექსტრემალურ სიტუაციაში დააფინანსა გუნდების გამგზავრება.

თეიმურაზ ზარქუა,
პროგრამირებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაკრები გუნდების მწვრთნელი.

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი ულოცავს გამარჯვებულებს.

მკურნალობენ უფასოდ

უნივერსიტეტთან არსებული სამკურნალო-დიაგნოსტიკურმა ცენტრმა საქართველოს რეგიონების 15.000-მდე პაციენტს უფასო დახმარება გაუწია. აქ უფასო სამედიცინო დახმარებას იღებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები და, რაც ნიშანდობლივია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 5000 პროფესორ-მასწავლებლელი და თანამშრომელი. პაციენტები თავად ირჩევენ მკურნალ ექიმებს. ყველა პროცედურა უფასოა. უფასოა სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც.

– პაციენტთა რაოდენობა უნივერსიტეტიდან ნამდვილად არ გვაკლია, მათგან ძალიან ბევრი სისტემატურად გვაკითხავს და ჩვენ, ჩვენი მხრივ, დაუზარებლად ვემსახურებით – ამბობენ ექიმები დარეჯან აბაშიძე, თამარ ახვლედიანი და ვერიკო მარგალიტაძე.

– ჩემთან, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მოდიოდნენ უნივერსიტეტელი პროფესორ-მასწავლებლები, მრავალ მათგანთან მეგობრობაც კი მაკავშირებს, ჩემი ხშირი სტუმრები არიან, კოტე წერეთელი, ოთარ ბაქანიძე, რისმაგ გორდეზიანი, – უდასტურებს ღვაწლმოსილი ლარინგოლოგი ანტონ მირაქიშვილი.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი აქტიურად მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში, ახლადგახსნილი სტომატოლოგიური სპეციალობის კათედრა მთლიანად ცენტრის ბაზით დაკომპლექტდა, წარჩინებულ 8 სტუდენტს სამკურნალო ცენტრის – სახელობითი სტიპენდია აქვს დანიშნული. მისი სტიპენდიატები არიან მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის, ბიოლოგიის ფაკულტეტის სამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკის სპეციალობის სტუდენტებიც.

მიეძღვნა ლეგენდარული მეფის ხსოვნას

საქართველოს ისტორიის კათედრამ ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს ლეგენდარულ მეფეს სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა.

აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ეს თაყვანისცემა წარსულის პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის საუკეთესო გამოხატულებაა. მოხსენებებით წარდგნენ აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე – „ვახტანგ გორგასალი და ერთიანი საქართველო“, დოცენტი ზაზა აბაშიძე – „ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა“, დოცენტი მიხეილ ბახტაძე – „საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა ვახტანგ გორგასლის დროს“, დოცენტი ჯაბა სამუშია – „ვახტანგ გორგასალი – ალმაშენებელი“.

კონფერენციაში მონაწილეობდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი.

ძნელბედობის მიუხედავად

უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1991 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის ჩათვლით გამოსცა 2358 დასახელების წიგნი 17981 ნაბეჭდი თაბახის ოდენობით, მათ შორის 1218 დასახელების სასწავლო ნაშრომი (სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ლექციები, პროგრამები...).

წლეულს გამოიცა 212-ზე მეტი დასახელების ნაშრომი 2500-ზე მეტი თაბახის ოდენობით.

2003 წლის ბოლოსათვის წარმოდგენილი ყველა სახელმძღვანელო აწყობილია.

2004 წლის დასაწყისისათვის გამოიცემა 60 დასახელების წიგნი 800-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის ოდენობით.

ზოია შეყილაძე.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თანამშრომლობა

წითელი ვაშლი გაგორდა

ალარ იკითხავთ, საით? — ევროპის ქვეყნების ბაზრებისკენ.

ორივე მხარე — ჰოლანდიურიც და ქართულიც, კმაყოფილია. პირველი, იმის გამო, რომ კარგი, საქმიანი პარტნიორი მოძებნა, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ერთობლივი „გორის ხილის ექსპორტის კომპანია“ ქართულ ხილს გზას გაუხსნის ევროპული ბაზრისკენ. გორის რაიონის სოფელ ბერბუკში ხილის შესანახი მეურნეობის საექსპლუატაციოდ გადაცემაც ხომ ამას ითვალისწინებს.

ამ ჩინებული საქმის მოთავე გივი აბალაკია, სოფლის მეურნეობის მაღალი კლასის სპეციალისტი, ფერმერი, მუდამ სიახლისა და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების მაძიებელი კაცი. ამის თაობაზე თავად ჰოლანდიელმა სტუმრებმა ისაუბრეს გორში, სასტუმრო „ინტურისტში“ გამართულ სემინარზე, რომელიც ხილის ბაღების გაშენების, პროდუქციის შენახვისა და მიწოდების, დახარისხებისა და შეფუთვის ტექნოლოგიების, მარკეტინგის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებს მიეძღვნა.

შემდეგ სემინარის მონაწილენი გაემგზავრნენ ბერბუკში, სადაც გაიმართა დღის მთავარი ღონისძიება: ხილის შესანახი მეურნეობის საზეიმო გახსნა. ფერმერული მეურნეობის ტერიტორიაზე დიდი, ქათქათა შენობა აღიმართა. ირგვლივ პეწი და სისუფთავეა, ფლაგშტოკებზე ჰოლანდიისა და საქართველოს სახელმწიფო დროშები ფრიალებს. ქართულ-ჰოლანდიური საწარმოს გახსნაზე მრავალი საპატიო სტუმარია მოსული. აი, სანდრა რულოვსი, ქართველების რძალი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის მეუღლე. ქალბატონი სანდრა მშვენიერი ქართულით საუბრობს.

— ჰოლანდიაც და საქართველოც ორივე ჩემი სამშობლოა, და, უბრალოდ, არ შემეძლო დღეს აქ არ ვყოფილიყავი — თქვა მან. თავისი შთაბეჭდილება კი კედელზე ჩამოკიდებულ დაფაზე ქართულად დაწერა: „წარმატებებს გისურვებ. სანდრა“. შემდეგ ფლომასტერი შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს ირაკლი ოქრუაშვილს გადასცეს და დაფაზე გაჩნდა სურვილი: „მალე შევეტანოთ ქართული ხილი ჰოლანდიის ბაზარზე“.

მაგრამ ეს იყო საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ. მანამდე კი გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამომსვლელებმა: შპს „გორის ხილის ექსპორტის კომპანიის“ დამფუძნებელმა გივი აბალაკმა, კომპანიის დირექტორ-დამფუძნებელმა თეო იანსენმა, სანდრა რულოვსმა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ, პროექტის მენეჯერმა ლენს ვერმაასმა და სხვებმა ილაპარაკეს საქართველო-ჰოლანდიის ორმხრივ სასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების შესახებ. ითქვა, რომ პროექტი დააფინანსა და სპონსორობა გაუწია ნიდერლანდების მთავრობის სააგენტო სენტერმა „აგრიპლანის“ და „პაკენდ თრეიდინგის“ კონსორციუმის მეშვეობით. შემოიტანეს 160 ათასი ევროს ღირებულების ხილის დამხარისხებელი ხაზები, ავტორეფრიჟერატორები, სამაცივრო დანადგარ-მოწყობილობები. არც შპს „გორის ხილის ექსპორტის კომპანია“ მდგარა განზე. ინვესტიციების გარკვეული ოდენობა ამ კომპანიის წილად მოდის.

ხილის გადამუშავებისა და დახარისხების მოწყობილობა საინტერესოდ მოფიქრებული საინჟინრო კონსტრუქციაა. იგი უზრუნველყოფს 300 ტონამდე ხილის ხანგრძლივი დროით შენახვას, შეუძლია საათში დაახარისხოს და შეფუთოს რვა ტონა ხილი. მაცივარ-დანადგარების უმრავლესობა, მათ შორის ფერმერული მომსახურების საშუალებები, საკომპრესორო, ისევე, როგორც დამხარისხებელი და შესაფუთი მოწყობილობები, შემოტანილია ევროკავშირიდან ჰოლანდიელი სპეციალისტების რეკომენდაციითა და დახმარებით.

„გორის ხილის ექსპორტის კომპანია“ შუამავალი ორგანიზაციაა ხილის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამიტომ უადგილო როდია კითხვა — როგორია მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი?

გივი აბალაკის თქმით, გლეხი თავის მოწეულ ხილს, აქამდე რუსეთის ბაზრებზე სარფიანი სარეალიზაციო ფასების ძებნაში ალმა-დალმა რომ დაატარებდა, თანხებსაც უმიზნოდ ხარჯავდა და თვეობით იყო მოწყვეტილი ოჯახს, ახლა თავის კარზე ჩამომდგარ ტრანსპორტში გადატვირთავს და ხელსაყრელ ფასებში მიუწონის კომპანიის წარმომადგენელს, ასცდება ამდენ წვალებასა და დავიდარაბას და მთელ ყურადღებას თავისი მთავარი სიმდიდრის — ხილის ბაღების სრულყოფას, მეჩხერიანობის ალკვეთას, ნიადაგის სტრუქტურულ გაუმჯობესებას დაუთმობს, ხეხილის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარებაზე იზრუნებს.

ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა ბერბუკში „გორის ხილის ექსპორტის კომპანიის“ დაფუძნებიდან, გორულ ხილს კი უკვე ელოდებიან რუსეთისა და ევროპის ქვეყნების ბაზრებზე. კომპანია მუშაობას შეუდგა.

აი, ეს არის ყველაზე კარგი პასუხი მოწოდებაზე — ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ახალი რეალიების, ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ლოზუნგები და ტრანსპარანტები, ასე რომ შევხაროდით ხავერდოვანი რევოლუციის დღეებში, დროა პრაქტიკულ საქმეებად ვაქციოთ, რათა ქვეყანამ იაროს წინ ურთიერთშემწყნარებლობის, შრომისა და აღმშენებლობის გზაზე.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.



სურათებზე: ხილის შესანახი მეურნეობის საზეიმო გახსნაზე; სანდრა რულოვსი ხილის დახარისხების საამქროში.

ამირან ადამიშვილის ფოტო.

განათლება

როგორ ვასწავლით ქართულს?

გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში გამართული მორიგი „ხუთშაბათობა“ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულის ქომაგმა“ ასეთ საკითხს დაუთმო: „როგორ ვასწავლით ქართულს“?

ამ პრობლემაზე ვრცლად ისაუბრა ხსენებული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგემ პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ პროფესორი გიორგი წიბახაშვილი, მწერალი და პუბლიცისტი თამაზ ხმალაძე, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე.

ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი, ითქვა შეხვედრაზე, ისიცაა, თუ როგორ ვასწავლით ქართულ ენას.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მშობლიურ ენას ვასწავლით ძალიან ცუდად.

2003 წლის სექტემბერში სერიოზული კონკურსის გავლის შემდეგ, პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში, ასევე, პრესტიჟულ სპეციალობაზე, ანუ იქ, სადაც „შემთხვევითი“ სტუდენტები არ ხვდებიან, დარიგდა კითხვარი. 122 გამოკითხული სტუდენტისგან ერთმა სწორად დაასახელა თუ ვინ იყო ავტორი იმ სახელმძღვანელოსი, რომლითაც ქართულ ენას სწავლობდა; კითხვას, თუ რამდენი საფეხური გაიარა ქართულმა დამწერლობამ, ვერც ერთმა ვერ უპასუხა; ასევე, ვერც ერთმა ვერ შეძლო ჩამოეთვალა ქართული ენის დიალექტები. რაც შეეხება კითხვას, რამდენ დროს უთმობდით ქართული ენის შესწავლას მე-10, მე-11 კლასებში, — ლიტერატურის გაკვეთილის ბოლო 2-3 წუთსო, იყო პასუხი.

თავისთავად ცხადია, რა მდგომარეობა იქნება არასაბიუჯეტო „უმაღლეს სასწავლებლებში“, სადაც მისაღები გამოცდა ცოდნის შემოწმებით კი არა, გასაუბრებით, ან მხოლოდ გამოცდაზე გამოცხადებით ტარდება.

რატომ დაუთმო ლიტერატურის გაკვეთილზე ქართულის მასწავლებელმა ქართულ ენას მხოლოდ 2 წუთი? სჩადის თუ არა ამ საქციელით დანაშაულს არა მხოლოდ ყმაწვილის, არამედ სახელმწიფოს წინაშეც?

ნუთუ მარტო დაბალი ხელფასით გაიმართლებს თავს პედაგოგი? ამ საკითხზეც ისაუბრეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას მეცნიერებმა.

რატომ გააქტიურდნენ ენათმეცნიერები განსაკუთრებით დღეს? რამ გამოიწვია მათი შიში და შეშფოთება?

— სკოლაში ჩაშლილმა სასწავლო პროცესმა. რაც შეეხება ქართული ენის გაკვეთილებს, იგი მე-10-11 კლასებში, ფაქტობრივად, აღარ ტარდება: იმ საგანს, რომელშიც ბავშვი მისაღებ გამოცდებს არ აბარებს, არ სწავლობს; აღარ არსებობს ატესტატის ნიშნების დანართი, რადგან იგი არ ემთხვევა მოსწავლის რეალურ ცოდნას; სულიერმა დეგრადაციამ, მომრავლებულმა ღამის სკოლებმა, სადაც დამამთავრებელი კლასის რაოდენობამ 11 პარალელური კლასიც კი წარმოშვა, თითოში 40-45 ბავშვის ოდენობით, ყმაწვილებში სკოლის დამთავრების აღტყინებაც კი ჩაქრა და „უკანასკნელი ზარიც“ ერთ ჩვეულებრივ დღედ აქცია, რომ არაფერი ვთქვათ „ვალოდია ჯინჭარაძის“ (რეზო გაბრიაძის „არაჩვეულებრივი გამოფენა“) მსგავს თანაკლასელებზე.

გამოსავალი: უნდა შეიქმნას სახელმწიფო სტანდარტი, პროგრამა (სახელმძღვანელო პროგრამის მიხედვით) და თანამედროვე მეთოდიკა. სკოლაში უნდა აღდგეს გამოცდები.

წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ გაგრძელდება მიზეზთა „კონა“, სკოლაში არ ასწავლიან ან უხარისხოდ ასწავლიან ქართულ ენას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ გრამატიკა მოწყვეტილია ცოცხალ ენას, ცოცხალ მეტყველებასა და ლიტერატურას. სერიები და მწკრივები ბავშვებისთვის დაკავშირებულია კინოფილმებთან. ამიტომ უნდა ჩაღდგეს ცოცხალ მაგალითში და სიცოცხლე დაიბრუნოს. ვიფიქროთ იმაზეც, რომ იქნებ კარგი ყოფილიყო, სერიები და მწკრივები, ასევე, ცოტათი ზედმეტი თეორიით დატვირთული გრამატიკა გაგვეხალისებინა და ქართული ენის სისტემური კურსი V, VI, VII და მაღალ კლასებში ლიტერატურის ისტორიის კურსის პარალელურად გვესწავლებინა. მანამდე კი ბავშვები მართლწერაზე, მეტყველებაზე ვავარჯიშოთ და ელემენტარული ენობრივი წესები ვასწავლოთ.

საქმე ადგილიდან უნდა დაიძრას, თორემ ათი წლის შემდეგ საგანგებო ღონისძიებების განხორციელება დაგვჭირდება წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ.

დისკუსიის მონაწილეებმა მიიღეს ორი მიმართვა, რომელთაც აქვე შემოგთავაზებთ:

საქართველოს განათლების სამინისტროს

ჩვენს მიერ საკითხის შესწავლამ და განხილვამ — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელმწიფო ენის, ქართული ენის სწავლების შესახებ, დაგვარწმუნა, რომ ვითარება განსაკუთრებით მძიმეა მაღალ კლასებში. აქ თითქმის უგულებელყოფილია საგანი — ქართული ენა.

ცხადია ისიც, რომ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებს ქართულ ენაში სახელმწიფო სტანდარტები, სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები. ამ თვალსაზრისით, არსებული ვითარება კრიტიკას ვერ უძლებს.

ვფიქრობთ, საკითხი საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. უნდა დაიგეგმოს ქმედითი ღონისძიებანი საქართველოს სახელმწიფო ენის — ქართული ენის სწავლების ნორმალურ ვითარებაში ჩასაყენებლად. ამ თვალსაზრისით, უქმად დაკარგული ყოველი დღე დედაენის წინაშე მდგომ პრობლემებს კიდევ უფრო დაამძიმებს, მათ გამოსწორებას ათწლეულები დასჭირდება.

რექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, აკადემიკოს როინ მეტრეველს

ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, წინაშე მრავალი პრობლემაა. ერთ-ერთი მთავარი ქართული ენის სწავლების საკითხია. ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; ვითარება დღითი დღე უარესდება, აშკარაა, რომ ქართული ენის უცოდინარობა ფართო მასშტაბებს იღებს. ჩვენ ვეთანხმებით თქვენს მიერ 1998 წლის 16 იანვარს რექტორთა საბჭოს სხდომაზე გამოთქმულ აზრს: „სკოლაზე გადაბრალება, იქ ვერ ასწავლეს კარგადო, საქმეს არ უშველის; საქმე ჩვენ უნდა გამოვასწოროთ“ („ბურჯი ეროვნებისა“ №4, 1998, გვ. 5).

ბატონო როინ, ვეთანხმებით თქვენს იმ პრინციპულ მოსაზრებასაც, რომ: სრულიად მიუღებლად მიგაჩნიათ ყოველგვარი საპირისპირო მტკიცება: ქართული ენა და ლიტერატურა უნდა იცოდეს ყველამ, ისევე როგორც საქართველოს ისტორია. ეს საგნები არ შეიძლება გავათანაბროთ არც მათემატიკასთან, არც ფიზიკასთან და არც სხვა საგანთან. ეს არის აუცილებელი ადამიანისათვის. არ იცის ქართული? — არ უნდა მივიღოთ უმაღლეს სასწავლებელში, თუკი ჩვენ გვინდა ვიყოთ უნივერსიტეტი, გვერქვას უნივერსიტეტი, რაგინდ მცირე კონკურსიც იყოს, არ შეიძლება უმაღლეს სასწავლებელში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მივიღოთ. ამას არ უნდა შევეგუოთ. ასეთი „სპეციალისტები“ საქართველოს არ სჭირდება. ყოველგვარი საპირისპირო აზრის მტკიცება აბსურდულია.

სამწუხაროდ, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ეს ჭეშმარიტება, ხშირ შემთხვევაში, უგულებელყოფილია: სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში, აღარას ვამბობთ არასახელმწიფო სასწავლებლებზე, არ მოწმდება ქართული ენის ცოდნა. ზოგ შემთხვევაში ეს შემოწმება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებით ეს ითქმის არასაბიუჯეტო სექტორზე.

სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, საგანს, რომელშიც მისაღები გამოცდა არ ბარდება, ჩვენი ახალგაზრდობის უმეტესობა არ სწავლობს. მიგვაჩნია, რომ ქართულ ენაში ცოდნის შემოწმება უნდა მოხდეს ყველა ტიპის სასწავლებელში სწავლების ფორმის მიუხედავად. ამასვე მოითხოვს საქართველოს განათლების სამინისტროს 2000 წლის 8 მაისის ბრძანება: „აბიტურიენტები, უმაღლესი სასწავლებლების მიმღები კომისიების გადაწყვეტილების მიხედვით, აბარებენ 2-4 გამოცდას, რომელთაგან ერთი უნდა იყოს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში“.

ბატონო როინ, მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ, განიხილოთ ეს პრობლემა და მიიღოთ პრინციპული გადაწყვეტილება. საკითხის დახანება, გადადება ქართული ენის წინაშე მდგარ პრობლემებს კიდევ უფრო გაამრავლებს; მის გამოსწორებას ათწლეულები დასჭირდება!..

შეუძლებელია ამ მოსაზრებებს არ დაეთანხმო.

იათამზე კალანდარიშვილი.

სურათზე: „ხუთშაბათობა“ გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 342. კვირა, 21 დეკემბერი, 2003 წელი

მოგონებები

ირაკლი აბაშიძე

ზარები ოცდაათიანი წლებიდან

არსებობს ერთი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა – 1902 წელს რუსულად თარგმნილი და სანკტ-პეტერბურგში გამოცემული ფრანგი მეცნიერის მორის მიურერის „ებრაული გონება“ („Еврейский ум“), რომლის წინასიტყვაობაშივე ავტორი წერს:

„«В умственной жизни современного европейского общества с каждым годом все яснее и яснее проступает одна характерная черта: вымирание критической способности и рост слепой доверчивости к господствующим тенденциям“.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს, წიგნი მშობლიურ ენაზე გამოცემის მეორე დღესვე არ იქნებოდა თარგმნილი რუსულ ენაზეც, – მაშ, როდის შეუმჩნევია ევროპაში ამ კაცს ეს უცნაური და შემდეგ ჩვენს საუკუნეში ზენიტამდე ასული საშინელი ტენდენცია, რასაც საუკუნის შუა წლებში ასეთი დიდი მსოფლიო ტრაგედია მოჰყვა. ცნობილია, საუკუნეებში დროდადრო არსებობს რაღაც გონების დაბნელების სნეულება, გონებრივი ჭირის ეპიდემია, რომელიც სადღაც იწყება და შემდეგ ჩვენი პლანეტის მთელ რიგ რეგიონებს მოედება ხოლმე. სხეულის სნეულების ეპიდემიებისგან განსხვავებით გონების ჭირის ეპიდემია საწყის ფორმაში ყოვლად შეუმჩნეველია, ანდა კიდევ რომ ვინმემ შეამჩნიოს, მათ განგაშს სათანადო ყურადღებას არავინ მიაქცევს და ხალხის ფართო მასები ამ გაფრთხილებას არაფრად დაგიდევს. ეს ჭირი თავდაპირველად პატარა გუნდად აგორდება და ესკალაციურად თანდათან ზვავად იქცევა. მერე კი უკვე გვიანდაა (ჯერ კიდევ როდის შეამჩნია ეს ინფექცია იმ-ფლორენციელმა ჭინკა კანცლერმა). ჩვენი საუკუნე ამის მაგალითია. ეს ეპიდემიები დასაწყის ფორმებში ხშირად ადამიანთა მასების დიდ სიმპათიებსაც კი იხვევს ხოლმე, ზოგჯერ კი მასში ხსნასაც კი ხედავენ, მით უმეტეს, თუ ირგვლივ და გარშემო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მდგომარეობა რთული და კრიზისულია. ახლანდელი ისტორიკოსი შეგვახსენებს:

თბილისის საპატიო მოქალაქეები. 1980 წელი.

Без сомнения, обострение экономической ситуации на Западе. „Великая депрессия» 1929 года, наступление фашизма с одной стороны и громко провозглашенный курс 1-ой пятилетки в СССР вызывают повсеместно на западе новый, естественный прилив интереса к советской стране: не там ли выход, спасение Европы, человечества? «Именно здесь, в России _ воскликнул Бернард Шоу _ Я убедился, что новая коммунистическая система способна вывести человека из нынешнего кризиса и спасти его от политической анархии и разрушения“.

ბერნარდ შოუმ რუსეთში სამოთხე დაინახაო, წერდნენ მაშინ უცხოეთში მისი თანამედროვენი. მაგრამ გავიხსენოთ ისიც, რომ, როცა მას შეეკითხნენ: რატომ შენ თვითონ არ დარჩი იმ სამოთხეშიო, შოუს თავისი ცნობილი ცინიზმით უპასუხნია – მე ღმერთმა ჯოჯოხეთი მომისაჯაო.

ისევ ის საკითხი, რომელიც ჩვენში დღესაც გაისმის, ჩუმ-ჩუმად აქა-იქ გაისმოდა 30-იან წლებშიც მოაზროვნე ადამიანებში – იყო თუ არა რუსეთი მზად დემოკრატიისათვის? მაშინ ამ საკითხს უმეტესობა ასე უპასუხებდა – რუსეთი არაა მზად დემოკრატიისათვის; ხოლო, პირიქით, რაგინდრანაირი დიქტატურისთვის ივანე მრისხანის, პეტრე დიდის, რომანოვების რუსეთი ყოველთვის მზად იყო და მზად არისო. მაგრამ XIX საუკუნის – პუშკინის, გოგოლის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლუბოვის, გერცენის რუსეთი? როცა თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ამ თვალუწვდენელ მიწაზე გაისმოდა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ შთაგონებული მოწოდებები?

და აი, ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა ამ რუსეთში რევოლუციამ ჩვენი საუკუნის დასაწყისშივე და რა მოხდა? – თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ქვეყნის სათავეში მოვიდა ჯერ ერთი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მეორე დიქტატორი.

როგორც ცნობილია, რევოლუციამდელ რუსეთში ბევრი ტოლსტოელი იყო და მათ დიქტატურისა და დიქტატორების კი არა, თვითონ ღმერთის მიმართაც კი ჰქონდათ პრეტენზიები; იმ ღმერთის მიმართ, რომელსაც ეკლესია აღიარებს და ემსახურება, რომელსაც ეკლესია და მორწმუნენი ადიდებენ და ხოტბას ასხამენ. „რაში სჭირდება ეს ღმერთს?“ ნუთუ ყოვლისშემძლე უფალს არ სძაგს ეს ქება-დიდება, როცა აგერ, ამ ჩვენს ცოდვილ მიწაზე უმწეო ლევ ტოლსტოის ასეთი რამ თვალითაც კი არ დანახვებია. ღმერთს მხოლოდ საქმეები უნდა სჭირდებოდესო.

და აი, ასეთ რუსეთში ტოლსტოის წასვლიდან მეორე დღესვე მოვიდნენ ადამიანები, მოითხოვეს ეს ქება-დიდება და მიიღეს კიდეც. და მიიღეს პირდაპირ გადრებით, მიიღეს ჩვენგან, ყველასგან. ყველა ჯურის, ეროვნებისა და პროფესიის ადამიანთაგან, განურჩევლად სქესისა და ასაკისა; იმათგანაც კი, ვისაც აშკარა და დაუნდობელი ანალიტიკური გონიერება და გამოცდილება გააჩნდა:

ნეტავ თუ ჰქონდა წაკითხული ლევ ტოლსტოის ფრანგი მეცნიერის ზემოთ ნახსენები წიგნი? ან თუ ერთი წუთითაც კი წარმოიდგენდი იმას, რაც მისი სიკვდილის მეორე დღესვე დატრიალდა მთელს რუსეთის იმპერიაში, და რაზეც თურმე, როგორც ახლა ჟურნალმა „ლიტერატურნოე ობოზრენიემ“ გამოაქვეყნა, თვით მაქსიმ გორკი 1918 წელს თავისი ორგანო „ნოვაია ჟიზნში“ წერდა:

„Я знаю, что они производят жесточайщий научный опыт над живым телом России“

(ახლა, 1988 წელს გამოქვეყნდა. სრული 70 წლის მერე!).

* * *

ნუ ვიტყვით, რომ ოციანი წლების მეორე ნახევარში, „ნეპის“ პერიოდში ახალ სინამდვილესთან შერიგებულმა ქართულმა ინტელიგენციამ მხოლოდ ინერციით განაგრძო გზა და შედგა ფეხი შემდგომ ათეულ წელში. დღეს რაგინდ გასაკვირველიც არ უნდა იყოს, ოცდაათიან წლებში ჩვენი ინტელიგენცია ძირითადად და შეგნებულად შევიდა საბჭოური დროშით. თვით შეურიგებელნიც კი ძირითადად ახალი სინამდვილის მხარდამხარ დგანან და მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ დარგში აშკარა და ნათელია ზემდგომი ორგანოების, მმართველობის უკიდურესი ადმინისტრაციული ხასიათი და მთავრობის ლონისძიებების ცხოვრებაში გატარებისას ბევრგან მეტად დრამატული მოვლენებიც, ინტელიგენცია უმრავლესობით დგას თავის ახალ პოზიციაზე. მის ამ ახალ პოზიციაზე განმტკიცებაში, როგორც ამის გამო ბევრჯერ თქმულა, უსათუოდ დიდი როლი შეასრულა იოსებ სტალინის ეროვნულმა წარმომავლობამაც, მისმა ქართველობამ... ჩვენი დედამიწის ერთი მეექვსედის სათავეში პატარა საქართველოს შვილის – ქართველი კაცის გამოჩენამ.

ორმოცდაათიან წლებში სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, მოსკოვში ბევრი ამტკიცებდა, თითქოს სტალინის პიროვნების კულტი საქართველოდან წავიდა რუსეთში. ვიტყვი, რასაკვირველია, შემდეგ და შემდეგ ამ საქმისათვის არც ჩვენ დაგვიკლია ხელი, მაგრამ არა, ეს კულტი პირიქით საქართველოში იქიდან, ზემოდან მოვიდა.

განსაკუთრებით მოქმედებდა ქართული ინტელიგენციის იმდროინდელ განწყობილებაზე, და არა მარტო ქართულ ინტელიგენციაზე, სტალინის სახელის ალზევება უცხოეთის ქვეყნებში; უცხოეთის გამოჩენილ ადამიანთა აზრები სტალინზე სწორედ იმ ხანებში. როცა ბერნარდ შოუმ იმოგზაურა რუსეთში და სტალინი ჰამილტონს შეადარა, ლენინი კი ჯეფერსონს, რომენ როლანმა რუსეთის დიდი მეთაური რომის იმპერატორ ავგუსტუსს მიამსგავსა, ანრე ბარბიუსმა კი, როგორც ცნობილია, თქვა: სტალინი დღევანდელი ლენინიაო“.

ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ და, რასაკვირველია, არა მარტო ქართულ ინტელიგენციაზე, მაქსიმ გორკის რუსეთში საბოლოო დაბრუნებამ, იგი ხომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მკაცრად დაუპირისპირდა რევოლუციასა და თვით ლენინს. ახლა კი, აგერ, იოსებ სტალინთან სურათიც გადაიღო და უკვე სსრკ მწერალთა პირველ ყრილობაზე სტალინზე თქვა:

„В стране... неутомимо и чудодейственно работает железная воля Иосифа сталина“

როცა სტალინი გარდაიცვალა, იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერმა პიეტრო ნენიმ თქვა – დამთავრდა მსოფლიოში უდიდესი მისტიფიკაციის ეპოქაო. თუმცა ეს მისტიფიკაცია ინერციით ერთხანს (და, რაღაცნაირად მგონი დღესაც) ისევ გრძელდება.

ეს იყო, როგორც დღეს გაირკვა, მისტიფიკაცია, რომლის ნარკოზიც ჩვენი საუკუნის მთელი თაობების ორგანიზმში შეიჭრა და დღეს ნურავის ჰგონია, რომ ამ ნარკოზით გაჟღენთილი თაობების ეპოქისადმი სამსახური ყოველთვის მხოლოდ შიშისა და ანგარებისმიერი იყო, ან კიდევ თავისი მშობლიური ერის ერთგულებისა და სამსახურისგან განრიდება.

ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან სსრკ-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საომარ მზადებას და, ალბათ, ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გადაწყდა მომავალ ომში მთავარსარდლის საკითხიც.

მაშ, ლიტერატურამ და ხელოვნებამაც უნდა დააკანონოს ეს გადაწყვეტილება. ავტორხანოვისა არ იყოს, ბელადის სახელის განდიდება მართლაც ერთბაშად არ მომხდარა, მაგრამ ლიტერატურასა და ხელოვნებაში პირიქით, სწორედ ერთბაშად მოხდა:

– ერთხელ მე ამაზე უკვე ვუამბე ჩემს მკითხველს, ეს იყო, როგორც მახსოვს, 1933 წლის დასაწყისში, მწერალთა კავშირში მოვიდა პარტიის წარმომადგენელი და მწერალთა სპეციალურ კრებაზე განაცხადა, რომ თუ მანამდე აკრძალულივით იყო, დღეიდან ნებადართულია და უკვე არამც თუ სასურველი, არამედ საჭიროც, დაიწეროს მხატვრული ნაწარმოებები ხალხთა დიდ ბელადზე, ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინზე.

ამ სიტყვებმა მწერლებზე ისე იმოქმედა, როგორც ამნისტიამ. ახლა მე მიჭირს ასე ირონიულად თქმა ამისა, მაგრამ სწორედ იმის შემდეგ გაიხსნა ნამდვილი ლიტერატურული მარათონი, ვინ ვის...

ყველა მწერლის პატრიოტულ, მორალურ, მოვალეობად იქნა აღქმული იმჟამად ე. წ. „სტალინის თემა“, საქართველოში ამ საქმეს გულწრფელად უმეთაურეს უფრო „ცისფერყანწელებმა“, ვიდრე ე. წ. პროლეტარულმა, უკვე ავტორიტეტდაკარგულმა მწერლებმა.

პირდაპირ ვიტყვი – ქართველ გამოჩენილ მწერალთა მიერ ესეც რთულ საქმედ იქნა იმ ხანებში მიჩნეული და ისეთ ქმნილებებში, როგორიც „ბავშვობა და ყრმობაა“, ეს სწორედ ასეც იყო. აბა, დღესაც გადაიკითხეთ ეს, ნამდვილი პატრიოტის კალმით ოსტატურად დაწერილი პოემა, იქ ხომ უპირველესად საქართველოა დახატული, მისი დიდი ისტორია, მისი დიდებული ბუნება. მისი შესანიშნავი ტრადიციები.

ხომ ვერავინ დაასახელებს არა მარტო საქართველოში, თითქმის მთელ საბჭოთა კავშირშიც კი ცოტად თუ ბევრად ცნობილ მწერალს, რომლის სიტყვასაც რაიმე ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში, რომ სტალინზე სიტყვა არ დაეძრას. არა მარტო მწერლობა და ხელოვნება, მუსიკა, მხატვრობა, კინო, თეატრი; არა მარტო ჰუმანიტარული მეცნიერება, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაც – ტრიბუნაზე, კათედრაზე სიტყვას არავინ დაიწყებდა სტალინის ციტირების გარეშე.

პოეზია, რასაკვირველია, უფრო სწრაფად გამოეხმაურა ამ თემას; სასწრაფოდ მომზადდა ბელადისადმი მიძღვნილი პირველი ქართული პოეტური კრებული. მალე დაიწერა მოთხრობები, რომანები, პიესები. თეატრებში შეიქმნა სპექტაკლები, კინოში მხატვრული ფილმები.

* * *

ცნობილ ამბებს საქართველოში რუსი მწერლების ჯგუფის ჩამოსვლის შესახებ 1933 წელს, აქ ერთი რამეც დავუმატოთ: ამჟამად მოწინავე და საქვეყნოდ ცნობილი რუსი მწერლები – ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვ. დიდი სიამოვნებით ჩამოვიდნენ არა მარტო პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, ტოლსტოის, გორკის ნაკვალევზე, არამედ, ამავე დროს, იოსებ სტალინის სამშობლოშიც.

რუსი მწერლების ამ ჯგუფის ოფიციალური მიზანი, რასაკვირველია, იყო ის, რაც კარგადაა ცნობილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში – 1934 წლისთვის მოსკოვში დანიშნული სსრკ მწერალთა წინასაყრილობო მზადება; ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშთა თარგმნა რუსულ ენაზე. მაგრამ ახლა შესაძლოა ისიც ითქვას, რომ ამ ჯგუფში შემავალი პოეტებისათვის სტალინის სამშობლო საქართველო და თვითონ სტალინიც უნდა ქცეულიყო (და იქცა კიდეც) ახალი შთაგონების წყაროდ. ეს, რამდენადაც მახსოვს, მათაც, იმ პოეტებმაც, კარგად იცოდნენ მაშინ; დიდად მადლობელნიც იყვნენ თავიანთი ბედისა და ეს დიდი ხნის ოცნებაც კი იყო მათი.

ბორის პასტერნაკის სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი გამოქვეყნდა 1936 წლის გაზეთ „იზვესტიის“ საახალწლო ნომერში. აი, სტრიქონები ამ ლექსიდან:

„А в те же дни на расстояньи - 64,
За древней каменной стеной
Живет не человек, - деянье:
Поступок ростом с шар земной,
Судьба дала ему уделом
Предшествующего пробел.
Он - то что снилось самым
смелым,
Но до него никто не смел“

ეს ლექსი, მახსოვს, იმ დღეებში ფუგასივით გასკდა. პასტერნაკის ლექსი ბელადზე!.. (როგორც ცნობილია, თვითონ პასტერნაკი თვლიდა ამ ლექსს ერთ-ერთ უძლიერეს ქმნილებად თავის შემოქმედებაში; ვინც პასტერნაკს იცნობდა, ამაში ეჭვი არავის შეეპარება). ლექსი, რასაკვირველია, გულწრფელი, ალალი იყო. იმ ხანებში პასტერნაკს მეც ბევრჯერ შევხვედრილვარ და კარგად მახსოვს, რა აღტაცებული იყო იგი სტალინის ფენომენით (განსაკუთრებით სუფრაზე, სადღეგრძელოებში). ამიტომაც მისი იმ ლექსის გულწრფელობაში, სხვა ქართველ პოეტებთან ერთად, არც მე შემპარვია ეჭვი არასდროს.

ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა თამაზ ნატროშვილმა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „შეწყვეტილი დიალოგი“, სწორად აღნიშნა: „ამრიგად, თანამედროვე რუსულ პოეზიაში „სტალინიანას“ სათავე დაუდო იმავე რუსული პოეზიის „სინდისად“ წოდებულმა პასტერნაკმა. დიახ, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იგი ითვლებოდა პოეტად, ვისი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი სიწრფელე საქვეყნოდ იყო აღიარებული („უმწიკვლო პიროვნება“, როგორც მოიხსენიებს რობაქიძე), ამიტომაც თვალსაჩინოდ მიაჩნიათ პასტერნაკის ლექსის ზეგავლენა ლიტერატურულ პროცესზე. სხვათა შორის ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ლექსმა უბიძგა ბულგაკოვს შეექმნა პიესა სტალინზე („ბათუმი“)“.

ჩვენ კი აქ დავუმატებთ – არა მარტო ბულგაკოვს... და კი არ უბიძგა, პირდაპირ დალოცა ამ გზაზე ბევრი რუსი და სხვა ეროვნებათა მწერლები.

გრიგოლ რობაქიძემ, უდიდესი ნიჭისა და ერუდიციის მოაზროვნემ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ტერიტორიული დისტანციისა და უსაფრთხოების პირობებში დაინახა სტალინის „ჰოროსკოპი“, ეს მართლაც ნიმუში ადამიანის, დიქტატორის სულში ჩახედვისა. საბჭოთა ქვეყანაში მსგავსი რისამე თქმა ყოველთვის წარმოუდგენელი იყო. ნუ გავიხსენებთ მაინც და მაინც ოსიპ მანდელშტამის ლექსს, რომელსაც ბორის პასტერნაკმა მაშინვე ცუდი ნიშანი დაუსვა, „მაგას, რაც თქვენ წამიკითხეთ, არაფერი აქვს საერთო ლიტერატურასთან, პოეზიასთანო“. თუმცა, თუ გნებავთ, მაინც შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთადერთი მოქალაქეობრივი გამბედაობის შემთხვევა მთელი ათეული წლების მანძილზე.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ 338-341.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი

ევრო-2004

ვის გაუმართლა, ვის – არა

2004 წლის საფეხბურთო სეზონის ცენტრალური ღონისძიება უდავოდ ევროპის ჩემპიონატის ფინალი გახლავთ, რომლის წილისყრამ ზოგს სასურველი შედეგები მოუტანა, ზოგს კი – არა. გავეცნოთ ნაკრებების მწვრთნელებისა და წამყვანი ექსპერტების შეხედულებებს.

ჯგუფი A (პორტუგალია, საბერძნეთი, ესპანეთი, რუსეთი):

ლუის ფილიპე სკოლარი (პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელი მწვრთნელი):

ჩვენი ჯგუფის ყველა გუნდს პატივისცემით უნდა მოვექცეთ. ევროპის ჩემპიონატის ფინალში სუსტი გუნდები არა ხვდებიან. პორტუგალიას ორმაგი პასუხისმგებლობა აქვს – ჩვენ ხომ შინ ვთამაშობთ. მესმის, ბევრი მოუთმენლად მოელის პორტუგალია-ესპანეთის მატჩს, მაგრამ თუკი ჩვენ საბერძნეთსა და რუსეთს ჯეროვნად არ დავაფასებთ, შეიძლება ამ შეხვედრამ მნიშვნელობა დაკარგოს.

გიორგი იარცევი (რუსეთის ნაკრების მწვრთნელი):

ჯგუფის შემადგენლობა მეტად სერიოზულია, ფავორიტები კი აშკარად პორტუგალიელები და ესპანელები არიან. ჩვენი ერთი სირთულე ისიც არის, რომ სამივე მეტოქე ცხელი ქვეყნებიდანაა, ისინი იოლად ეგუებიან პაპანაქებას, ჩვენ კი ასეთ პირობებში, როცა ტემპერატურა 35-40 გრადუსს აღწევს, ქვეყნის სამხრეთში ორი მატჩი უნდა გავმართოთ. თუმცა მე ვიმეორებ: ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოვემზადებით.

ვიაჩესლავ კოლოსკოვი (რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):

წილისყრისას ჩვენ ბედი გვწყალობდა. ამ ჯგუფში წარმატებით გამოსვლა უდავოდ შეგვიძლია და მეოთხედფინალში უნდა გავიდეთ. მზადებისას ამხანაგური მატჩები ისეთ მეტოქეებთან, როგორიც გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრებები არიან, ნამდვილად ხელს შეგვიწყობს.

ინიაკი საესი (ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი):

ჩვენს ჯგუფში ფავორიტის დასახელება მიძნელდება, რადგან ნაკრებების ძალა თანდათან გათანაბრდა. ჩვენ ძალიან უნდა ვეცადოთ, რათა მეოთხედფინალში გასვლის უფლება მოვიპოვოთ. ყველა მატჩში მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი. წინასწარ აუტსაიდერად ნურავის ჩავთვლით.

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი):

ძალიან არ მსიამოვნებს, როცა თვლიან, რომ საბერძნეთის ნაკრები ბრძოლას წინასწარი თამაშების შემდეგ გამოეთიშება. მიხარია, რომ ჩემპიონატის გახსნის მატჩში უნდა ვითამაშოთ, ამასთან მინდა პორტუგალიელები გავაფრთხილო, იოლი მოგების იმედი ნუ ექნებათ. ყოველთვის შეიძლება ისეთი ნაკრებების დასახელება, რომლებსაც აქამდე დიდი მიღწევები არ ჰქონიათ. იმედი მაქვს, დიდ ყურადღებას მივიქცევთ და სწორედ ჩვენ ჩაგვთვლიან ტურნირის აღმოჩენად.

ჯგუფი B (საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, ხორვატეთი):

ზინედინ ზიდანი (საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი):

არც მე და არც ჩემი ამხანაგები წილისყრის წინ რომელიმე სასურველ მეტოქეებზე არ ელაპარაკობდით, იმიტომ, რომ დღევანდელი მზადყოფნით ჩვენ ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეგვიძლია. გადახედეთ თუნდაც ჩვენს შედეგებს: უკანასკნელ 13 მატჩს ნაკრებისათვის მხოლოდ გამარჯვება მოჰქონდა.

ჟაკ სანტინი (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი):

შვეიცარია და ხორვატეთი ჩვენ დიდად არ გვაღელვებენ. ეს ნაკრებები ისეთი რანგის ტურნირისათვის, როგორიც ევროპის ჩემპიონატია, ნაკლებად შესაფერისები არიან. შეუპოვარ ბრძოლას მხოლოდ ინგლისელებთან მოველი. ისე კი, სიმართლე რომ გითხრათ, კლასით მათაც აღვემატებით. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი ჩვენი ოსტატი ინგლისის პრემიერლიგაში წამყვან როლს ასრულებს. ნამდვილი ბრძოლა პლეიოფის სტადიაში დაიწყება, როცა საქმე გვექნება ჩეხეთთან, ჰოლანდიასთან ან იტალიასთან.

კობი კუნი (შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი):

როცა რომელიმე დიდ ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოვიპოვებთ ხოლმე, ტრადიციულად აუტსაიდერებად გვთვლიან. ეს შეიძლება კარგიც კი იყოს – ვინმესთვის ჩვენი თამაში პორტუგალიაში უსიამოვნო სიურპრიზად იქცეს.

დავორ შუკერი (ხორვატეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი):

ეს იქნება პირველი დიდი ტურნირი ხორვატეთისათვის, რომელიც ჩემი მონაწილეობის გარეშე ჩაივლის. ბრძოლას თვალ-ყურს ვადევნებ, როგორც მაყურებელი. გული მტკივა, რომ ჩემი დრო წავიდა. იმედი მაქვს, დადო პრსოს სახით ჩვენს ნაკრებს ახალი დიდი ბომბარდირი ეყოლება, ნაკრებს კი გავახსენებ: მან მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ახლაც სოლიდური წარმატებისაკენ უნდა ისწრაფოდეს.

სვენ-გორან ერიქსონი (ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი):

ჩვენი ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო – ერთში ჩვენ და ფრანგები შევდივართ, მეორეში ორი აუტსაიდერი – ხორვატეთი და შვეიცარია. საფრანგეთს, ჩემი აზრით, ახლა კონტინენტზე უძლიერესი ნაკრები ჰყავს, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ იგი ასეთია უკვე უკანასკნელი 6 წლის მანძილზე. ფრანგებს მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში დიდი ჩავარდნაც ჰქონდათ, თუმცა ამას თავისი ახსნა მოეძებნებოდა – საუკეთესო ფეხბურთელები სრულიად გადაღლილები ჩამოვიდნენ. ახლა ისინი, ცხადია, რეაბილიტაციას შეეცდებიან. არ დაგიმალავთ, ფრანგებისა მეშინია, დანარჩენი ორი მეტოქის დამარცხება კი არ უნდა გაგვიჭირდეს.

ის. მე-9 გვ.

რაგბი

„ლოკომოტივი“ ჩემპიონია

გუშინ დამთავრდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი. „ლოკომოტივის“ სტადიონზე რკინიგზელებმა სტუ-„ყოჩებს“ უმასპინძლეს გადამწყვეტ მატჩში. ორთაბრძოლა დაძაბულად წარიმართა. პირველ ტაიმში სტუდენტები დაწინაურდნენ, საბოლოოდ კი „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა 18:15 და მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. საგულისხმოა, რომ რკინიგზელებმა წლეულს ფინალში ბათუმის „დათვების“ ძლევით საქართველოს თასიც დაიმსახურეს.

ვულოცავთ „ლოკომოტივს“ ამ წარმატებას!

სურათზე: 2003 წლის საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ყოველი მხრიდან

„გამჭვირვალე“ საუნა

ლონდონელები, ვინც 17 დეკემბერს ოქსფორდ-სტრიტზე საყიდლებზე გავლა მოისურვა, ერთ-ერთი უზარმაზარი მაღაზიის ვიტრინაში შემაცბუნებელი სანახაობის მოწმენი გახდნენ.

ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი, მხოლოდ საბანაო ხალათით საუნაში იჯდა თავისი ცოლის ვიქტორიას, ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ერიკსონისა და, რატომღაც, ტონი ბლერის კამპანიაში. რასაკვირველია, ნამდვილი ბექჰემი ამ დროს მადრიდში იყო, ბლერი კი – სამუშაოზე. ალბათ, მწვრთნელსაც და ვიქტორიასაც რაღაც საქმე ექნებოდათ, ვიტრინაში კი მხოლოდ მათი ორეულები ისხდნენ.

ყველაზე საოცარი აქ მათი ორეულების გამოჩენა კი არ იყო, რადგან ბექჰემის ოჯახიც, ნაკრების მწვრთნელიც და ქვეყნის პრემიერმინისტრიც დიდებული რეკლამაა. მთავარი ის იყო, თუ რას უწევდნენ ისინი რეკლამას.

აღმოჩნდა, რომ ამ დღეს აქ გასაყიდად გამოიტანეს სკანდალურად ცნობილი ფოტოგრაფის ელისონ ჯეკსონის წიგნი. ავტორი კი იმითაა ცნობილი, რომ ის სწორედ ორეულებს იყენებს ისეთი სკანდალური თუ სენსაციური კადრებისათვის, რაზეც პაპარაცები ვერც კი იოცნებებენ.

და იცით, წიგნში ნამდვილად არის თითქმის ისეთივე ფოტოსურათი, როგორიც ვიტრინიდან მოჩანდა.

მაინც პოლიტიკას დაუკავშირეს

ამ სამდღიანი მატჩების სერიას კარგა ხანია, ელოდნენ კრიკეტის ინდოელი გულშემატკივრები. სპორტის ამ პოპულარულ ეროვნულ სახეობაში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ პაკისტანისა და ინდოეთის გუნდები.

მაგრამ შოვინისტური ორგანიზაციის „შივ სენას“ აქტივისტთა ჯგუფმა ხუთშაბათს გვიან ღამით ქალაქ აგრაში კრიკეტის მინდორი გადახნა.

„შივ სენას“ ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი ამ ორი ქვეყნის სპორტული კავშირების განახლების წინააღმდეგ გამოვლენ მანამდე, სანამ პაკისტანი არ შეწყვეტს სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას.

მატჩების ორგანიზატორებმა დაგმეს ექსტრემისტების ასეთი გამოხდომა ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პრემიერ-მინისტრი ატალ ბიჰარი ვაჯპაი გამოდიან დელისა და ისლამაბადს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

პოლიციამ სტადიონის დაცვა გააძლიერა. მიმდინარეობს მინდვრის აღდგენა, რათა 24 დეკემბერს პაკისტანელ სპორტსმენებს უმასპინძლონ.

კრიკეტი ამ ორ ქვეყანაში სპორტის ძალზე პოპულარული სახეობაა. ორივე ქვეყნის გუნდები ტრადიციულად იბრძოდნენ პირველობისათვის. მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მორიგი გამწვავების, კამმირის ჩრდილოეთით, კარგილის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ ყოველგვარი სპორტული კავშირი შეწყდა, რამაც როგორც ინდოეთში, ისე პაკისტანში, მილიონობით გულშემატკივარის გულისწყრომა გამოიწვია.

ახლა სამხრეთ აზიაში [illegible] დაძაბულობის შენელების პირობებში, მხარეები შეთანხმდნენ მომავალი წლის მარტიდან მატჩების განახლებაზე. ქალაქ აკსაში, სადაც ცნობილი ტაჯ მაჰალის მავზოლეუმია, დანიშნული ეს შეხვედრა სპორტული კავშირების განახლების თავისებური უვერტიურა უნდა ყოფილიყო.

აგიტატორებიც ასეთი უნდა

შეიძლება, ფეხბურთის სამყაროში სხვა ასეთი დაუძინებელი მტრები ვერც კი გამოძებნოთ, სამხრეთამერკულ ქვეყნებს თუ არ ჩავთლით, როგორიც მარსელი და პარიზია – „მარსელისა“ და „პარი სერ ჟერმენის“ თითქმის არც ერთი შეხვედრა არ დამთავრებულა გულშემატკივრების ხელჩართული შეტაკების გარეშე.

კლუბების ხელმძღვანელები „თავს იტკივებენ“ გამოსავლის, რაღაც მშვიდობიანი ინიციატივის ძებნაში.

ახლახან სამხრეთელებმა ასეთ ორიგინალურ ზომასაც კი მიმართეს: „ველოდრომის“ ტრიბუნაზე შექმნეს ფეხბურთის გუნდი... მწერლებისაგან – 5 ადგილობრივი, 5 პარიზიდან და ერთიც ნეიტრალური ლიონიდან. კალმის ოსტატებს ასეთი თხოვნით მიმართეს: ფეხბურთის მატჩების ყურებისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე ძველი მეტოქეების უკვე დაგეგმილი 24 აპრილის მატჩამდე ფანატებისთვის შექმნან დამაჯერებელ-დამაფიქრებელი მოთხრობების კრებული.

აბა, წარმოიდგინეთ ტრიბუნაზე ამ კრებულის კითხვით გატაცებული გულშემატკივარი, ანდა სტადიონზე იმ რწმენით მოსული, რომ „წესიერად“ უნდა მოიქცეს.

ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ, თურმე ამ პარიპარად შეკოწიწებული „ფეხბურთელი“ მწერლების უმეტესობას, გვაპატიეთ და ფეხებზე ჰკიდია „მარსელიცა“ და „პსჟ-ც“, საერთოდ, ფეხბურთიც.

მაგალითად, 56 წლის პარიზელი ლიტერატორი ფრედერიკ ბაჟარდი ჟურნალისტებთან აღიარებს, რომ უკანასკნელად ფეხბურთის მატჩი ნახა 13 წლის ლაწირაკმა, თამაშობდნენ ელზასელი ვეტერანები. „ისეთი ცემატყეპა იყო, ძვლები ჭახჭახებდნენ“.

მწერალმა ქალმა მარი დესპლეშინმა კი თქვა, რომ ფეხბურთი საერთოდ არ უნახავს, ტელევიზორითაც კი.

აგიტატორებიც ასეთი უნდა (?!).

სტუმრად მშობლიურ სკოლაში

იმ დღეს ლისაბონის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა ორმაგად გაიხარეს:

ჯერ ერთი, მათ სტუმრად ეწვიათ სახელოვანი თანასკოლელი – ფეხბურთის ნორჩ გულშემატკივართა, და არა მარტო მათი, კერპი ლუიშ ფიგუ.

და მეორეც, ასეთი საპატიო სტუმრობისას გაკვეთილების ჩატარებაზე ვიღა მოიცლიდა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, აკადემიკოსმა და კავკაზიოლოგმა ქიმაგმა დიმიტრი თუხარელმა ორ ათეულზე მეტი ფოტო მისახსოვრა, რომლებშეც ასახულია ქართული ფეხბურთის პრეწყინვალე წარმომადგენელი ᲨᲝᲗᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ. მისი თამაში, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ამიგომ ამ ხაღხს შევეხმაიენე, ვისაც თავისი თვალით ჰყავს მწვანე მინდორზე ნანახი თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტანი.

ᲨᲝᲗᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი ეა ამაგი მიუძღვის. იგი ბანდალთ თბილისის „დინამოს“ პირველი კაპიტანი, რომელიც ქალქსაგთი აღიმართებოდა მეგობრთა თავდამსხმელების წინ, თავეაამოლებით, დაუღალავად იბრძოდა თავისი კარის დასაკეთებლად. გაჭირვების გალეეში ყოველთვის იქ გამოჩნდებოდა, სადაც ბუნებ უჭირდა და ყოველთვის თბილისელთა მეკარეებს ამცდი იყო. ეს ყოველივე, როგორც ავვიწონე, ქვეყნ თაობის დიწამოელთაგან და გულმშაკვარებისაგან მოვისმინე.

მ. მაგულაძეს დაბადა 1912 წელს, 1925-ში, როცა 13 წლის ბიჭი, გადაწყვიტა ფეხბურთის მონაწილეობით გამოიჩინოს თავი ფიზკულტურის მოყვარულთა საზოგადოება „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში. ამ დროს ეს საზოგადოება ხელმძღვანელობდა ცნობილი ფიზკულტურის მოღვაწე ალექსანდრე ჯაკელი. ის ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ბიჭებს სავარჯიშოზე და ყურადღებით აკვირდებოდა მათ თამაშს. ალექსანდრე ჯაკელი ხედავდა, რომ ბიჭებს ფეხბურთის ნიჭი ჰქონდათ, მაგრამ ამ ნიჭის სრულყოფისთვის ბევრი რამ აკლდათ. ამიტომ ალექსანდრე ჯაკელი ხშირად ეუბნებოდა ბიჭებს, რომ ფეხბურთის ნიჭი ნიჭია, მაგრამ ის ნიჭი ადამიანს მაშინ ეხმარება, როდესაც ის ნიჭს ფიზიკურ ვარჯიშობასაც უთავსებს. ალექსანდრე ჯაკელი ურჩევდა ბიჭებს, რომ ფეხბურთის გარდა, სხვა სპორტული თამაშობებიც ეთამაშათ, მაგალითად, ფეხბურთელებს ურჩევდა ხშირად ეთამაშათ ჩოგბურთი, ეცურათ, ეთამაშათ ფარიკაობა და ა. შ.

ალექსანდრე ჯაკელის ეს რჩევები ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ფარიკაობდნენ და ამ სპორტული თამაშობების წყალობით ფეხბურთელებმა ბიჭებმა ფიზიკურად ძლიერი ვაჟკაცები გამოიზარდნენ.

ალექსანდრე ჯაკელის რჩევებს ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ეთამაშებოდნენ ფარიკაობა და ა. შ.

ალექსანდრე ჯაკელის ეს რჩევები ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ეთამაშებოდნენ ფარიკაობა და ა. შ.

ალექსანდრე ჯაკელის ეს რჩევები ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ეთამაშებოდნენ ფარიკაობა და ა. შ.

პირველი კაპიტანი

ალექსანდრე ჯაკელის ეს რჩევები ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ეთამაშებოდნენ ფარიკაობა და ა. შ.

ალექსანდრე ჯაკელის ეს რჩევები ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ეთამაშებოდნენ ფარიკაობა და ა. შ.

ალექსანდრე ჯაკელის ეს რჩევები ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ეთამაშებოდნენ ფარიკაობა და ა. შ.

ალექსანდრე ჯაკელის ეს რჩევები ბიჭებმა ნაყოფიერად გამოიყენეს. ისინი ხშირად ეთამაშებოდნენ ჩოგბურთში, ცურავდნენ, ეთამაშებოდნენ ფარიკაობა და ა. შ.

ბატონური იქითური

„ჩემი გაგებით, ტიერი ანრი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში“

ამ დღეებში გაჩეი „ეკიპის“ კორესპონდენტი მაღრიდში დეედე ბექჰემს ეწვია.

– უნდა ეკითხოთ თუ არა, რომ საფრანგეთ-ინგლისის მატჩი (13 თვიანი ლისაბონში) ეუროპის პირველობამტე ისკორიანში შეხვ?

– ჩემი აზრით, ეს შესანიშნავი შეხვედრა იქნება. პირადად მე რაც შეიძლება, ყოველთვის მაინტერესებს მატჩები დიდ ნაკრებებთან, თამაში მაღალ კლასის ფეხბურთელებთან. საორანეის მსოფლიო კლასის მოთამაშეები პაჟას.

– ბევრი ფრანგი მოთამაშე ინგლისში გამოვიდ და გულშემატკივრები კარგად იცნობენ მათ.

– ღიახ, თუნდაც ტიერი ანრი ავიღოთ. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერეს ფეხბურთელად მიმაჩნია. გარდა ამისა, შესანიშნავი ადამიანია, ასე რომ, მხარიამ ხართ შეეეხვა.

– ვის თვლით ეურო-2004-ის ფავორიტად?

– ვფიქრობ, ინგლისს კარგი შესაძლებლობები აქვს, საორანეეს კი უმაღლესი კლასის მოთამაშეები პაჟას. ამდენად, ფავორიტი საორანეეა.

ანრი, ანრი...

1996 წელს ტიერი ანრი საფრანგეთის საეკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ აღიარეს. მასთან ერთად საფეხბურთო სკოლაში სწავლობდნენ ფრანგული ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორიც დღეს გრეზეეზ და ნაკოლა ანელკა არიან. ორივე დღეზე ანრის უპირატეს მეკარედ თვლის.

33 – ათ გოლებს ცვლიდე ერთ რალეეზონა, რომელიც ანრიმ ერთ სეზონში – 2001-2002 წლებში გაიგანა, როცა „არსენალი“ ინგლისს ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც.

ორი გოლიღა აკლია

ჯრსტმენ ვიერი ბევრ გუნდში დიდი წარმატებით თამაშობდა, მაგრამ თავის ახალგეულ კლუბ „ინტერში“ (თუმცა ახლანდელ ეტაპზეაი გამოსულებმეც დაბრაკობენ) მანც განსაკუთრებული მიღწევები აქვს. სულ ხამიოლე სეზონის განმავლობაში „ბობოს“ (ვიერის მეგობრებია) „ინტერის“ შემადეელობაში ვიაგანა 98 გოლი, ასე რომ, იეხიელშე სულ ეოცაიაე აკლია.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ადამიანი დროში

პაოლო როსის ნოსტალგია

ამას წინათ ცნობილი ბულგარელი მიმომხილველი რუმენ პაიტაშევი, რომელიც არაერთ ევროპულ გამოცემასთან თანამშრომლობს, ეწვია 70-80-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთის განთქმულ ვარსკვლავს, პაოლო როსის და ერთი განსაცვიფრებელი რამ გაახსენა:

– სინიორ როსი! როცა იტალია მსოფლიო ჩემპიონი გახდა (1982), ერთმა გულშემატკივარმა, ფეხსაცმლის მწარმოებელმა, ასეთი რამ თქვა: სანამ როსი ცოცხალია, მე მას ფეხსაცმელს როგორ მოვაკლებო...

– რა გასაოცარი მეხსიერება გქონიათ, როგორ დაიმახსოვრეთ? დიახ, იყო ასეთი ფეხსაცმლის მეწარმე ქალაქ ვიჯევანოდან. მას შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მის მიერ გამოგზავნილი თუნდაც ერთი ფეხსაცმელი თვალითაც არ მინახავს.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დიდად პოპულარული პაოლო როსი იტალიელებისაგან საჩუქრებს არ იღებდა. იღებდა, რამდენიც გნებავთ. იგი ხომ იტალიელებს ძალიან უყვარდათ და ახლაც დიდად აფასებენ; ჟურნალისტებიც ხშირად ეწვევიან ხოლმე მას.

– თუკი გავიხსენებთ ყველა იმ წოდებას, რომელიც თქვენ მიიღეთ (იტალიის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, იტალიის 1982 და 1984 წლების ჩემპიონი, იტალიის 1983 წლის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონთა თასის (1985), თასების მფლობელთა თასის (1984), ევროპის სუპერთასის (1984) მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერი). დარჩა კი რაიმე, რომლის მიუღებლობამაც გული დაგწყვიტათ?

– არა, არაფერი დარჩენილა. როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზეც მსოფლიო სიმაღლეებს მივაღწიე. ჩემი საფეხბურთო კარიერა ბედნიერი გამოდგა.

– თავის დროზე თქვენ კარგი ანაზღაურება გქონდათ, მაგრამ თუკი მას დღევანდელი ფეხბურთელების შემოსავალს შევადარებთ...

– ყველაფერს თავისი დრო აქვს. ცხოვრება იცვლება, ისე რომ, ადრინდელ და ახლანდელ შემოსავალს ერთმანეთს ნუ შევადარებთ.

– ახლა რას საქმიანობთ?

– უძრავ-მოძრავი ქონების ფირმის პატრონი ვარ. გარდა ამისა, ფერმერიც გახლავართ: მაქვს ვენახი, ყურძენთან ერთად – ზეთისხილიც.

– როგორ მოხდა, რომ თქვენი სახელი დაუკავშირეს სკანდალს, რომელსაც იტალიაში „შავი ტოტო" უწოდეს?

– სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც გამოქვეყნდა მონაცემები უკანონო ტოტალიზატორზე „სერია A-ს" მატჩების უკანონო ფსონებზე. მე ახლა მიჭირს იმის ახსნა, რაც მოხდა. ამის გამო ფეხბურთში ორი წელი დავკარგე. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ რაიმე დანაშაული არ ჩამიდენია. დიახ, ვიმეორებ, დამნაშავე საერთოდ არ ვყოფილვარ, მაგრამ რადგან იტალიაში დიდად პოპულარული ვიყავი, ფედერაციამ სწორედ ჩემი მსხვერპლად შეწირვა გადაწყვიტა. ამით ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ თუ საჭირო იქნებოდა, არავის დაინდობდნენ. ერთი სიტყვით, ასეთი ბედი მერგო.

– როგორ მოახერხეთ იმ მძიმე პერიოდში მზადყოფნის აღდგენა, მინდორზე გამოსვლა და ძველებურად თამაში?

– თუკი ვინმე თვლის, რომ იგი ამა თუ იმ სფეროში პროფესიონალია, სწორედ ისე უნდა იცხოვროს, როგორც პროფესიონალს შეეფერება. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ასე უნდა მოიქცეს – გამოზომოს რა ჭამოს, რა დალიოს, როდის დაიძინოს. არავინ თქვას, რომ ყოველივე ეს წვრილმანია – სწორედ მისგან შედგება პროფესიონალის ცხოვრება. თუკი გინდა, ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაში, ბევრ ცხოვრებისეულ ჩვევაზე ხელი უნდა აიღო. თუკი სხვადასხვა მაცდურ სიამოვნებაზე უარს არ იტყვი, კარგი მოთამაშე ვერ გახდები.

– სამ გოლს ბრაზილიელთა კარში (3:2 – ნახევარფინალში) თქვენ, ეტყობა, თვლით ყველაზე დიდ პირად მიღწევად.

– შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გავხდი, მაგრამ, რაც შეეხება გატანილ ბურთებს, ეს დღე, მართლაც, უბედნიერესი იყო ჩემს კარიერაში: სად შეგხვედრიათ ფეხბურთელი, რომელსაც სამი ბურთი გააქვს მსოფლიოში უძლიერესი ბრაზილიის ნაკრების კარში?

– იმ ორი დიდი იტალიელი მწვრთნელისგან – ბეარზოტისა და ტრაპატონისაგან – მაინც ვისგან შეითვისეთ მეტი? ვინ მოახდინა თქვენზე მეტი გავლენა?

– რა თქმა უნდა, ბეარზოტისგან. იგი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწვრთნელი იყო ფეხბურთის ისტორიაში, აბსოლუტურად კომპეტენტური სპეციალისტი, როგორც ტაქტიკური და ტექნიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დიდებულად ერკვეოდა მსოფლიო ფეხბურთში, ყველაფერი იცოდა გამოჩენილი ფეხბურთელების შესახებ, როცა რომელიმე თამაშის წინ გვამზადებდა, ითვალისწინებდა მეტოქეთა თავისებურებებს, რომელთა შესახებ მეტი იცოდა, ვიდრე ნებისმიერმა მზვერავმა.

– თუკი ნაკრებს დავუბრუნდებით, თვლით თუ არა, რომ მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატში არგენტინაში იტალიის გუნდი ბეარზოტის ხელმძღვანელობით ყველაზე ძლიერი იყო?

– ვფიქრობ, ეს იყო უძლიერესი ნაკრები მთელი იტალიური ფეხბურთის ისტორიაში, როგორც სანახაობითი, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით. ის „სკუადრა აძურა" ყველა დანარჩენ მონაწილეს აღემატებოდა.

– იტალიის 1982 წლის ნაკრებსაც?

– დარწმუნებული ვარ, ნაკრების დონე 1978 წელს უფრო მაღალი იყო. მართალია, ესპანეთში გავიმარჯვეთ, არგენტინაში ვერა, მაგრამ ეს ხომ ფეხბურთში ხდება ხოლმე, 1978 წელს ჩვენ თვითონ არ გვჯეროდა, რომ მსოფლიო ჩემპიონები გავხდებოდით. გავიდა ოთხი წელიწადი, გუნდმა მეტი გამოცდილება მიიღო, რამაც წარმატების მოპოვების საშუალება მოგვცა.

– თქვენ მკვეთრად გამოხატული გოლეადორი იყავით. როგორ ფიქრობთ, ბომბარდირები იბადებიან თუ მერე ყალიბდებიან?

– ბომბარდირებად იბადებიან, შემდეგ კი გამოცდილების მიღება და ნიჭის განვითარებაა საჭირო. თუკი თავიდანვე არ გახასიათებს ის თავისებურებები, რაც ფეხბურთელს ბომბარდირად გაქცევს, შეიძლება არაფერი გამოვიდეს, საგოლე გრძნობა დაბადებიდან უნდა გქონდეს, ისე კარგი თავდამსხმელი ვერ გახდები.

– ეს თქვენც გეხებათ?

– დიახ, მე ბომბარდირად დავიბადე.

– ახლა, როცა ამდენი დრო გავიდა, როგორ უნდა ავხსნათ ის საოცარი სახეცვლილება, რაც იტალიის ნაკრებს მოუვიდა, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე წინასწარ ჯგუფში მან სამივე მატჩი ფრედ დაასრულა და გზა მხოლოდ იმის წყალობით გააგრძელა, რომ კამერუნელებთან შედარებით ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდა.

– ეს ხომ ფეხბურთის თავისებურებაა: ხან ცუდი პერიოდი გიდგება, ხან – კარგი. ტურნირის დასაწყისში ჩვენ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები გვქონდა. შემდეგ რწმენა დაგვიბრუნდა, სრული ძალით დავიწყეთ თამაში, ზედიზედ მოვიგეთ, რაც ჩინებული ფინალური მატჩით დავაგვირგვინეთ.

– თვლით თუ არა, რომ „იუვენტუსი", როცა იქ როსი, პლატინი და ბონეკი თამაშობდნენ, ამ კლუბის ისტორიაში უძლიერესი იყო?

– პლატინი და ბონეკი დიდებული ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ მათ გარდა „იუვენტუსში" ხომ კიდევ ექვსი მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა, ძოფი, კაბრინი, ჯენტილე, ტარდელი, შირეა და როსი. ეს იყო ჩინებული გუნდი, თითოეული ფეხბურთელი მინდორზე კარგად ასრულებდა თავის ფუნქციებს.

– დღევანდელ „იუვენტუსზე" რაღას იტყოდით?

– ეს გუნდი ყოველთვის ძლიერი იყო. მოთამაშეები მოდიან და მიდიან, „იუვენტუსს" კი შეუძლია ყველას მოუნახოს შემცვლელი, თვით ყველაზე გამოჩენილ მოთამაშესაც კი.

– როგორ შეიცვალა იტალიური ფეხბურთი თქვენი ახალგაზრდობის დროიდან დღემდე?

– ფეხბურთი საერთოდ ძალიან შეიცვალა, იგი დიდ ინდუსტრიად იქცა, ეკონომიკური ინტერესი მთავარი გახდა, ამან კი უბრალო ადამიანური ურთიერთობები დააზიანა, დაირღვა ადამიანური კონტაქტები. მე იმ დროის დიდი ნოსტალგია მაქვს, იმ ფეხბურთისა, რომელიც დღევანდელივით სწრაფი არ იყო, მაგრამ უფრო ტექნიკური.

– როგორი შანსები აქვს იტალიის ნაკრებს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე პორტუგალიაში?

– ვფიქრობ, „სკუადრა აძურა" ძალიან ძლიერია. მას შეუძლია ევროპული „ოქროს" მოგება. მაგრამ, ცხადია, არიან სხვა ძლიერი ნაკრებებიც: საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია. ჩვენ კინაღამ არ გავხდით ევროპის 2000 წლის ჩემპიონები, მაგრამ სულ უკანასკნელ მომენტში ბედმა გვიმტყუნა.

მოამზადა
გივი თორელმა.

აქეთური – იქითური

„ფული ჯიბეში კი არ ჩავიდე, მოთამაშეებს ხელფასი დავურიგე"

